140
1987/2

ISSN 0132 — 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

3
1987

## საყრილობო პატაკები

# სალამი საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობას!

### ვუერთგულებთ ტრადიციებს

საქართველოს კომკავშირი თავისი დიდი თავყრილობის წინ გამორჩეული ინტერესით გაეცნო საკავშირო კომკავშირის წესდების ახალი რედაქციის პროექტს, რომელშიც მთელი ერთი თავი აქვს დათმობილი პიონერულ ორგანიზაციასთან მუშაობის ამოცანებს. თავს ჰქვია „ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაცია". იგი ეძღვნება პიონერული ორგანიზაციის, როგორც ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი თვითმოქმედი ორგანიზაციის, ავტორიტეტის ამაღლების, პიონერულ მუშაობაში დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხებს.

ასე, ის დიდი მისიაც, რომელიც დღეს კომკავშირთან ერთად ეკისრება პიონერულ ორგანიზაციას. პიონერთა უმთავრესი მოვალეობაა, იდგნენ მოწინავეთა რიგებში, მუდამ ოპერატიული მზადყოფნით გამოეპასუხონ სამშობლოს, პარტიისა და კომკავშირის ნებისმიერ დავალებას.

ჩვენი რაიონის პიონერული ორგანიზაცია კვლავაც უერთგულებს თავის მდიდარ ტრადიციებს, კვლავინდებურად მთელი კეთილსინდისიერებით ეკიდება სწავლაში, შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში სამაგალითო ნორჩთა თაობების აღზრდის საქმეს. ჩვენი პიონერები დიდი გულმოდგინებით ჩაებნენ ახალი საკავშირო პიონერული მარშის მიმდინარე ეტაპში, საინტერესო გეგმები აქვთ დასახული, რომ ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს, კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი მონაწილეობა საკავშირო თუ რესპუბლიკურ აქციებსა და ოპერაციებში. რაიონში არ არსებობს რაზმეული, რომლის პიონერებიც არ შეფობდნენ ომის ვეტერანებს, არ ეძებდნენ შინმოუსვლელთა საფლავებს, მონდომებით არ ირჯებოდნენ მოსწავლეთა შრომა-დასვენების ბანაკებში, არ ქომაგობდნენ თავიანთი სოფლების ფლორასა და ფაუნას.

ეს ყველაფერი მშობლიური ქვეყნისადმი, საერთო სახალხო საქმისადმი, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი მათი დამოკიდებულების თავისებური გამჟღავნებაა... ეს არის ის უმთავრესი, ყველაზე რაციონალურიც, რომლითაც ხვდებიან ლანჩხუთელი პიონერები და მათი უფროსი მეგობარი პიონერმუშაკები საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობას.

**ნანა ებრალიძე,**
საქ. ალკკ ლანჩხუთის რაიკომის მდივანი.

### მომავალში მეტს ვიმუშავებთ

წარმატებებით შეხვდა საქართველოს კომკავშირელთა დიდ ფორუმს საგარეჯოს რაიონული პიონერული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში 4500 ნორჩ ლენინელს აერთიანებს.

ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშით ნაკარნახევი მიმართულებით მომუშავე ბევრმა რაზმმა და რაზმეულმა ბეჯითი სწავლით, მუყაითი შრომითა და საინტერესო საქმიანობით გამოიჩინა თავი. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საგარეჯოს 1-ლი, მე-3, მე-4, კაკაბეთის საშუალო და კოჭბაანის რვაწლიანი სკოლების პიონერული კოლექტივები.



საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი ინგა ბასილაური ერთ-ერთი მოწინავე მკერავია.



გულიანად შრომობენ საგარეჯოს მეთხესკოლელები ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მიერ გამოყოფილ საკერავ მანქანებზე.

რაიონის პიონერულ ორგანიზაციაში პიონერთა იმ საკავშირო თუ რესპუბლიკურ აქცია-ოპერაციებში მონაწილეობის საკმაოდ მდიდარი და საინტერესო გამოცდილება დაგროვდა, რომელთა დევიზია „პიონერები — XII ხუთწლედს". ნორჩების წვლილად შეემატა ქვეყნის სახალხო მეურნეობას მათ მიერ შეგროვილი ტონობით ჯართი და მაკულატურა: ხალისით ჩაებნენ ჩვენი უფროსი ასაკის პიონერ-მოსწავლეები შრომითი საქმიანობის ისეთ ფორმაში, როგორიცაა სასკოლო საბჭოთა მეურნეობები. კარგი შედეგები მოიტანა რგოლებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის დევიზია „რაზმეული რგოლის საქმეებით არის ძლიერი!" სასკოლო პიონერული ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებოდნენ პედაგოგიურ კოლექტივებს იმ მოძრაობის რეალურ განხორციელებაში, რომელსაც ჰქვია „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით". გაკეთებული მცირედ გვეჩვენება, მითუმეტეს, რომ გაწეული მუშაობის ფონზე ნათლად ვხედავთ იმ ცალკეულ ნაკლოვანებებს, რომლებიც პიონერული მუშაობის ზოგიერთ უბანზე გვაქვს. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის გადაწყვეტილებები დაგვეხმარება მათ გამოსწორება-აღმოფხვრაში და სამომავლო მუშაობის გეგმა-მიმართულებასაც დაგვისახავს.

**ნ. მღებრიშვილი,**
საქ. ალკკ საგარეჯოს რაიკომის მდივანი.

### კომკავშირის საიმედო შევსება

დიდი ხალისითა და სწავლა-საქმიანობაში გამოჩენილი აღმავლობით ჩაება ქ. ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად გაშლილ საყოველთაო სამზადისში.



საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო. მალხაზ ფოცხვერაშვილმა უკვე გაავლო პირველი ხნული.

მრავალი კეთილი და საინტერესო საქმე გაკეთდა ზუგდიდის სკოლების კომკავშირის მოწადინებითა და უშუალო მონაწილეობით. გააქტიურდა ნორჩი ლენინელების საზოგადოებრივი საქმიანობა — რიგ რაზმებსა და რაზმეულებში ჩატარდა შეხვედრები კომკავშირის ვეტერანებთან, ქალაქისა და რაიონის მოწინავე მშრომელებთან, დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან. შეგროვდა ასობით ტონა ჯართი და მაკულატურა, შეივსო და გამდიდრდა სკოლებში არსებული შრომითი და საბრძოლო დიდების მუზეუმები. გამოშვებულია სპეციალური კედლის გაზეთები, გაშენდა სამანტა სმიტის ხსოვნის სასკოლო სკვერები და ბაღები, ჩატარდა თემატური საღამოები, რაზმებისა და რაზმეულების საგანგებო საქმიანი და შინაარსიანი შეკრებები, აქტიურად ჩაებნენ პიონერები ქალაქის პიონერული პარკის კეთილმოწყობის საქმეში... ყველაფრის უბრალო ჩამოთვლაც კი არ არის ადვილი საქმე. ერთი და მთავარი კი უტყუარია — ზუგდიდელმა ნორჩმა ლენინელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მზად არიან მხარში ამოუდგნენ კომკავშირს და ღირსეულად ჩაიბარონ მათგან ესტაფეტა.

**გიძინა ლატარია,**
საქ. ალკკ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

### როგორ ვმუშაობთ

მცხეთის პიონერული ორგანიზაცია, რომელიც 4.463 წევრს ითვლის, ძალზე საქმიანი განწყობილებით შეხვდა საქართველოს კომკავშირელთა XXXIII ყრილობას. პიონერთა ეს საერთო განწყობილება აისახა მოსწავლეთა ინიციატივიანობაში, რამაც რაიონის პიონერული საბჭოს სხდომაზე საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ახალი დებულების განხილვის შემდეგ კიდევ უფრო იმატა. სხდომის მიერ მიღებულმა სპეციალურმა დადგენილებამ საკავშირო პიონერულ აქციებსა და ოპერაციებში მონაწილეობის გააქტიურებისკენ მოუწოდა რაიონის 29-ვე პიონერულ რაზმეულს, მარჯვენაფლანგელობისთვის ბრძოლა მიზნად დაუსახა რაიონის ყველა პიონერულ

18497



ს. ქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკა

# სალამი საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობას!

რაზმს. დღეს ჩვენს რაიონში არსებული 154 პიონერული რაზმიდან მხოლოდ 19-ია მარჯვენაფლანგელი... ეს ნიშნავს, რომ პიონერებმა კიდევ მეტად უნდა მოიწადინონ. მარჯვენაფლანგელის სახელის მოსაპოვებლად რაიონის პიონერულ რაზმეულებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ვნახოთ, რას მოგვიტანს მისი შედეგები...

იმ ღონისძიებათა შორის, რაიონის პიონერებმა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობას რომ მიუძღვნეს, არ შეიძლება არ გამოვყოთ ის მუშაობა, რომელიც პიონერებმა გასულ წელს ტურიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წამოიწყეს. ამ კამპანიური ღონისძიების მიზანია რაიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობაში პიონერთა მონაწილეობა. შევადგინეთ სამუშაო გეგმა. თითქმის ყველა პიონერულმა რაზმეულმა იკისრა შეფობა თავიანთი სოფლების ისტორიულ და კულტურულ სიძველეებზე. ბავშვებმა დამოუკიდებლად ჩაატარეს ძეგლთა პასპორტიზაცია, ადგილობრივ მოსახლეობაში თითოეულის შესახებ უამრავი ცნობა თუ ლეგენდა მოიძიეს. პიონერების ამ მუშაობამ გაახარა რაიონის ყველა მშრომელი და, განსაკუთრებით, ქალაქის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი პატივცემული ვალერიან მამუკელაშვილი, რომლის სახითაც ბავშვებს დიდი მეგობარი ჰყავთ.

მცხეთელი პიონერები წარმატებით მონაწილეობენ საკავშირო პიონერული მარშის ამჟამინდელ ეტაპში, რომელიც მიმდინარეობს დევიზით — „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები“. წინასაყრილობო პერიოდში მუშაობა გამორჩეულად გააძლიერეს პიონერთა სპეციალურმა სარეიდო ჯგუფებმა, რომლებიც აკონტროლებენ პიონერთა მონაწილეობას რესპუბლიკურ ოპერაციებში — „წვეთო, არ დაიკარგები“, „შუქურა“ და „დედას პური“. გასულ წელს, ვფიქრობ, ვიყოჩაღეთ — 12 ტონა ჯართი და 3.400 კილოგრამი



მაკულატურა ჩავაბარეთ სახელმწიფოს. პიონერებმა წლევანდელი ნახევარი წლის ვალდებულებაც გადიდებული აიღეს — 6 ტონის ნაცვლად 8 ტონა ჯართის შეგროვება გადაწყვიტეს. თანაც, რაიონის კომკავშირელებთან ერთად ჩაებნენ კაკლის ხეივნების გაშენების საქმეში. დღეს ჩვენში თითქმის აღარ არის სკოლა, თავის პიონერულ სანერგეში გამოყვანილი კაკლის ნერგით თავს რომ არ იწონებდეს.

მაგრამ... განა მხოლოდ კაკლით?! აი, გაზაფხულიც მოვიდა და დღედღეზე ხორცი შეესხმება ჩვენს პიონერთა ახალ იდეას — სულ მალე პიონერულ ქალაქ „მზიურში“ მათივე ხელით გაშენდება 500 ძირი სხვადასხვანაირი ყვავილით დამშვენებული ვეებერთელა ყვავილნარი... ახლა გასული შრომითი სემესტრის ციფრებიც ინებეთ: 2400 მოსწავლის ხელით რაიონში შესრულდა 62.780 მანეთის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

თუ მცხეთელი პიონერების მუშაობა კიდევ უფრო დაგაინტერესებთ, ჩახედეთ რაიონული გაზეთის „მცხეთის“ ფურცლებზე არსებულ პიონერულ გაზეთში „ზედაზნური დილა“ დაბეჭდილ ნორჩ კორესპონდენტთა ხალისიან მასალებს, მათში მრავალ შეკითხვაზე იპოვნით პასუხს.

**ლია ხაჩირაშვილი,**
საქ. ალკკ მცხეთის რაიკომის მდივანი.



სახარატო ჩარხთან ხვიჩა ომარაშვილი დგას.

ეს მოწინავე ნორჩი მზურლავი ზვიად ქარჩაძეა.

(მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლა, პედაგოგი მიხეილ გოგოლაშვილი)

ფოტო თ. ცაგარელისა

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა 3 მარტი 1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატი

# გარჯით მოპოვებული ნდობა



შორენა სტეფანიშვილი მორიგ სხდომას ატარებს.

მანავის საskოლო მინიმეურნეობის ყველა წევრს ზუსტად ახსოვს ის დღე — 22 აგვისტო.

ავ თვალს არ ენახვებოდა შემოდგომის მოლოდინში გარინდული ბარაქიანი ზვრები...

დღის ბოლოსთვის ალმურმა თითქოს იკლოო და სოფელსაც გრილი საღამოს იმედი მიეცა, მაგრამ...

ძალიან ცოტა ხანს კი იავაზაკა სეტყვამ, მაგრამ მაინც მოასწრო მევენახის მთელი წლის ნაჯაფის განახევრება.

არავის დაუძახია, ჩვენს ვენახს ჩავხედოთო, არც ის შეუთვლიათ ერთმანეთისთვის, სკოლასთან მოვიყაროთ თავიო, ერთმანეთის დანახვა კი არავის გაკვირვებია. იდგნენ ნასეტყვ ვენახში, გაოგნებული, ვაზის ტკივილით გულატკიებულები, და ტიროდნენ. ასე მტირალებს წაადგნენ თავზე უფროსები, ცრემლები რომ დაუნახეს, თავისთვის გაიფიქრეს — დახე, როგორ ნამდვილი მევენახეებივით შესტკივათ ამ ბალღებს გულიო, ხმამაღლა კი შეუძახეს, რა გულხელი დაგიკრეფიათ, ვაზს ტირილი კი არა, შველა უნდაო. მაშინ კი მოეგნენ გონს, დატრიალდნენ, გადმოყრილი რქები აკრეს, მოტეხილები მოაშორეს, უწამლეს, გაამხნევეს, მოაყოჩაღეს ვაზი, მერე კი იმდენიც შეძლეს, რომ რთველობას 90 ტონა ყურძენი მოკრიფეს და ჩააბარეს.

სამი წელია არსებობს მოსწავლეთა ეს მეურნეობა, რომელიც სოფლის ორივე სკოლის 137 უფროსკლასელს აერთიანებს. ნამდვილს არაფრით ჩამოუვარდება იგი. ვენახები — ვენახებად (ორმოცი ჰექტარი მსხმოიარე, ოციც — ახალშენი) და მას თავისი კაპიტალური შენობაც აქვს სამუშაო კაბინეტითა და დასასვენებელი ოთახებით, ტრაქტორდრომიც, სადაც მოსწავლეები სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვას სწავლობენ, ტექმომსახურების სახელოსნოც, სპორტული კომპლექსიც, სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც, სამგზავრო ავტობუსიც და სატვირთო ავტომანქანაც. რაღა თქმა უნდა, მეურნეობის მართვა-გამგეობაც მოსწავლეებს აქვთ მინდობილი, — ეკონომისტიც, ბუხჰალტერიც, აგრონომიც, მთავარი ინჟინერიცა და დირექტორიც მათგან არიან შერჩეული და რაკიღა ასეა, ბუნებრივია, მეურნეობის ხელმძღვანელობის ნაწილი მაინც ყოველწლიურად იცვლება. წლეულს, მაგალითად, დირექტორად მეათეკლასელი შორენა სტეფანიშვილი აირჩიეს. რატომ მაინცდამაინც ის? ალბათ იმიტომ, რომ შეატყვეს, ორგანიზებული, საქმეში დინჯი, ცოტას მთქმელი და ბევრის გამკეთებელი რომ არის, რომ ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ საქმეს, რომ შეუძლია თანატოლები გაიყოლიოს, რომ საიმედო და ერთგული ამხანაგობა იცის. ყველა ეს თვისება კი მაშინ შეამჩნიეს, როცა სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნად მუშაობდა. ამ თვისებების გათვალისწინებითვე აირჩიეს საგარეჯოს კომკავშირის რაიონულ კონფერენციაზე საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატად და არავის არ გაკვირვებია, რომ ის კომკავშირელების რესპუბლიკურ ფორუმზე წარგზავნილთა შორის დაასახელეს, თვით შორენას გარდა, — ისეთი არაფერი გამიკეთებიაო და...

ვითომ ასეა? ჯერ ის რად ღირს, რომ სასკოლო მეურნეობა მტკიცედ დგას ფეხზე და თავისი არცთუ მცირე წვლილი შეაქვს რაიონის მევენახეთა მიღწევებში. ხოლო მეურნეობის დირექტორობა, თუნდაც სასკოლოსი, ან იქნებ სწორედ სასკოლოსი, არცთუ იოლი საქმე გახლავთ. ჯერ ერთი, თავად უნდა იყო მისი ყველაზე უკეთესი რიგითი წევრი, — მაშ იცოდეთ, რომ შორენა, როგორც მევენახე, არავის უდებს ტოლს, მკლავმოუღლელად უვლის და ესათუთება ვაზს; გარდა ამისა, დირექტორი აგრონომიც უნდა იყოს, მექანიზატორიც, ინჟინერიც, ბუხჰალტერიც, ეკონომისტიც; ყოველთვიურ საწარმოო თათბირებზეც და ნებისმიერი საკამათო საკითხის გარკვევა-გადაჭრისასაც ირკვევა, რომ შორენა აქაც თავის სიმაღლეზეა. მესამე, და იქნებ მთავარიც კი, ამხანაგების პატივისცემაა, ურომლისოდაც ყველა წამოწყება გაცუდდება, ყველა ცდა გაბათილდება და, მაშასადამე, რაიმე წარმატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი აღმოჩნდება. ხოლო მინიმეურნეობის მოვლილი ვენახები, მოწეული მოსავალი იმაზე მეტყველებენ, რომ შორენას ეს პატივისცემაც მოპოვებული აქვს.

ეს — მეურნეობაში. სკოლაში კი ყოველივე ამას კარგი სწავლაც ემატება და ყველაფერი ერთად აღებული იმაზე მეტყველებს, რომ შორენა სტეფანიშვილი საგარეჯოს რაიონის ახალგაზრდობის ღირსეული წარგზავნილია საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობაზე.

მანანა გელაშვილი





9



8

# მეგობრობით ვართ ძლიერნი!



1



2



3

ამ ზეიმის სითბო, საახალწლო დღეებში სამი მოძმე რესპუბლიკის მოზარდთა მონაწილეობით რომ გაიმართა, დიდხანს გაჰყვებათ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მოსწავლეებს.

200 სტუმარი ეწვია ქართველ ნორჩებს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. სტუმარ-მასპინძლებმა ერთად დაათვალიერეს კომკავშირული ქალაქი გორის ძნელაძე, თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა...

ნორჩი მეგობრების ამ სამდღიანი შეხვედრის გვირგვინი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული დიდი კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ უფროსი ამხანაგები: ჯ. პატიაშვილი, ვ. ალავიძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ბ. ნიკოლსკი, ზ. ჩხეიძე, სამივე რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები: ჯ. მარგველიძე, ვ. აკოფიანი, ს. ალექპეროვი.

დარბაზში გაისმოდა ქართული, სომხური, აზერბაიჯანული სიმღერები, საცეკვაო მელოდიები, ლექსები. ბავშვებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ გააგრძელებდნენ მეგობრობის იმ დიად ტრადიციას, რომელსაც მათმა წინაპრებმა ჩაუყარეს საფუძველი. ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე ისმოდა ბავშვური წკრიალა ხმით ნათქვამი — მეგობრობით ვართ ძლიერნი!



7

1. მღერის თბილისის პიონერთა სასახლის ანსამბლი „საუნჯე". 2. ეს „მერცხალი" საინგილოდან გვეწვია. 3. აზერბაიჯანელმა მედოლეებმა ცეცხლი დაანთეს სცენაზე. 4. ცეკვავს სომეხ პიონერთა ანსამბლი „არევიკი". 5. ესენი აზერბაიჯანულ ანსამბლ „ჯუჯალარის" მოცეკვავეები არიან. 6. ბავშვთა სურათების გალერეაში ყველა ექსპონატი საინტერესოა. 7. სცენაზე არიან თბილისის პიონერთა სასახლის მოცეკვავეები. 8. „მშვიდობა მსოფლიოს!" 9. მეგობრები ხალხთა მეგობრობის მუზეუმს ათვალიერებენ.



4



5



6



ალექსანდრე ლორია
მხატვარი თემურ ფხაკაძე

მოთხრობა

ზურამ ძლივს მოასწრო ეთქვა, ნინიკოს ნურაფერს ეტყვით, მე თუ რამე გითხარითო, რომ კიბეზე ბაკაბუკი გაისმა. ნინიკო იყო. იცნეს იმის ფეხის ხმა. ეტყობოდა, საფეხურების გამოტოვებით მოხტოდა. თან ღიღინებდა. კარი ხმაურით გააღო და გახარებული, პირმზიანი შემოფრინდა ოთახში. ცალ ხელში ჭრელაჭრულა ყვავილების მოზრდილი კონა ეჭირა, მეორეში — კარგა დიდი ზომის წიგნი. უნდოდა რაღაც ეხარებინა დედისათვის, მაგრამ ზურა რომ დაინახა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, უცებ შეცბა და მოიღუშა. ერთი შეხედა ბიჭს ბღვერით და არც აცია, არც აცხელა, გამეტებით ჩააფარა წიგნი თავში.

— ამას რა უნდა, ამ შტერს, აქა? — ზურგი შეაქცია მას და წიგნი მაგიდაზე მიაგდო. მერე, ვითომც აქ არაფერიო, ისევ ისე მხიარულად მონახა ლარნაკი და ყვავილების ჩაწყობას შეუდგა. ზურა სასჯელს შეგუებული დამნაშავესავით დარჩა ერთ ადგილას თავდახრილი და წყენისაგან ჩიჩვირჩამოშვებული, გაფითრებული. ლენა უხმოდ შეჰყურებდა ქალიშვილს, გაოცებას იყო, ეს რა ქნა ამ გადარეულმაო, და ენაჩავარდნილი ადევნებდა თვალს, როგორ საქმიანობდა ნინიკო. რატომღაც გაჯავრებასაც კი ვერ ახერხებდა.

ნინიკომ ღიღინით იტრიალ-იბზრიალა, საწოლ ოთახში გავიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ყურადღება არავისთვის მიუქცევია, ტელევიზორი ჩართო და პატარა ბავშვივით ჩახტა სავარძელში.

— გოგო! — როგორც იქნა, ენა მოიბრუნა ლენამ, — გადაირიე თუ რა მოგივიდა? რას გავს შენი საქციელი? — თანდათან უწევდა ხმას. — ვისთან დადიხარ, რას აკეთებ?! სულ დაკარგე თავმოყვარეობა?

ნინიკომ მშვიდად შეხედა დედას და ისე გულიანად გაუღიმა, რომ ქალს სიტყვა პირზე შეაშრა და მასაც უნებლიეთ შეუთამაშდა ტუჩები, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი. შეეცადა, ასე უბრალოდ მაინც არ დაეთმო პოზიცია და ხმაში ლითონი გაურია:

— ნორმალური თუ ხარ, გოგო, შენ? — შეუტია და მერე გამოსაჯავრებლად დაუმატა, თითქოს გოგოს გულის გასახეთქად: — ქალაბიჭა!.. ქალაბიჭა!.. მამაშენის ბრალია სულ, არაფერს რომ არ გიკრძალავდა!.. სულ თავს გაჯედი!

— ქალ-ბატონ-ოო ელე-ნეე! — გაბმით, განაზებული ხმით, კეკლუცად გამოაჯავრა დედას ნინიკომ, — არ გაბედებათ გაჯავრება!.. რაც არ შეგიძლია, რატომ აკეთებ, ა?.. ელეონორა! — შეხუმრებით შესცინა გაავებულ ლენას ქალიშვილმა, წამოხტა, მოეხვია, ჩაკოცნა და ოთახში დაპროწიალდა ვალსის სიმღერით.

ლენა სავსებით განიარაღებული აღმოჩნდა. ზურა კი თვალებგაფართოებული, გაოგნებული უცქერდა ქალიშვილს. ასეთი იგი არასოდეს ენახა. ვერც კი წარმოედგინა. არა, მაინც რა უხარია? რატომაა ასეთ აფრენილ ხასიათზე?

ეს დედამაც შენიშნა და ბეჯითად დააკვირდა გოგონას. მართლაცდა, ისეთ ხასიათზეა, გაჯავრებამაც არ იმოქმედა მასზე.

ნინიკო ერთი შებზრიალ-შემობზრიალდა და უკვე სერიოზულად ძიუბრუნდა დედას.

— შენ ამას უჯერებ? — ზურაზე მიუთითა აგდებულად. — ეგ, ხომ იცი, რა ტიპიცაა? ყველაფერი მის ჭკუაზე უნდა აკეთო. ვიცი, ახლა რასაც გეტყოდა... გინდა, ზეპირად გეტყვი? — „ნინიკო ვიღაც ხულიგანთან მეგობრობს... დაიღუპავს თავს... სახელს გაიტეხს“... ესმოდეს რამე მაინც მაგ საწყალს! ერთი ტენისის თამაში იცის და ისიც ისე არა, რომ გოგოები ვერ უგებდნენ.

ზურა გალურჯდა, სუნთქვა შეეკრა. დააპირა, რაღაც მწარე ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. როგორც იქნა, დაიმორჩილა გულისთქმა, მაგრამ როცა ნინიკომ უკვე სავსებით უსირცხვილოდ, დაურიდებლად გუბკას დაცვა დაიწყო, სულაც არაა ეგ ბიჭი მასეთიო, მოთმინების ფიალა აევსო: ქშენით, ტუჩების კანკალით ამოაფრქვია გაგულისებულმა:

— ის რაც არის, იმას ნახავ... ციხეში რომ ჩააყუდებენ!.. თუ უკვე ჩაყუდებული არ არის.

— დიახაც, არ არის! — გამოჯავრებით დაეჭყანა ნინიკო, — ტყუილად აბრალებდნენ!

— შენ რა იცი? — უფრო და უფრო ედებოდა ცეცხლი ბიჭს.

— ვიცი.

— შენ თუ მართალი ქალი ხარ, აბა საიდან უნდა იცოდე ეს?

— შენ რა გინდა? მე ვიცი!.. საიდან ვიცი, რა შენი საქმეა? მე ბევრი სხვაც ვიცი, შენ სიზმრადაც რომ არ მოგელანდება.

ზურა ამან ერთგვარად შეაკრთო, მაგრამ იხტიბარი არ გაუტეხია, მკვახედ მიახალა:

— არაფერიც არ იცი! მოიცა ცოტა და ნახავ, რომ დაიჭერენ!

— აღარ დაიჭერენ, გასკდი გულზე! — ახლა უკვე ნინიკოსაც მოედო ალმური. — ისე, ზოგ-ზოგებს უნდოდათ კი... ის მანქანა რომ გაქრა, იმ დროს გუბკა იქ არ ყოფილა. სხვაგან იყო, და ორად ხომ ვერ გაიჭრებოდა?

ზურა ერთბაშად შეფიქრიანდა. ახლა სულ სხვა რამეზე შეუქანდა გული:

დასასრული. იხ. „პიონერი“, № 12, 1986 წ., № 1, 2, 1987 წ.

– კი მაგრამ, შენ საიდან იცი ეგ?.. შენ რა იცი?

– ვიცი!.. ორშაბათი იყო... დღის თერთმეტი საათი. პოლიგონზე ცხენებს ავარჯიშებდა. ყველამ ნახა... მთელი დღე იქ ჯომარდობდა.

– და შენც იქ იყავი, ხომ? – ისე დაიყვირა ბიჭმა, ლენას თავზარი დაეცა. ნინიკოც შეხტა და წამით ენა დაებორკა, მერე ჯიქურ მიახალა:

– დიახ, მეც იქ ვიყავი!

სასოწარკვეთილმა ლენამ საფეთქლებზე ხელისგულები მიიჭირა და სავარძელში თავდახრილი წინ და უკან რწევას მოჰყვა:

– ღმერთო, მომკალი!.. ღმერთო, მომკალი! ეს რა მესმის!.. ცხენი აკლია კიდევ ამას?.. – უცებ თავი ასწია, წამოხტა და ახლა უკვე მართლა გამეხებული მიეჭრა ქალიშვილს. – ვინ მოგცა ნება? რამე რომ მოგივიდეს?.. მაგ ცხენის გამოა, მარტო ბაბუასთან რომ აღარ გაგზავნი და ახლა აქ დამიწყე? თავი გინდა მომაკვლევინო? – ისევ საფეთქლებზე მიიჭირა ხელისგულები და კვლავ სავარძელში ჩაეშვა მოცელილივით.

ზურა ლამის ყელში სცემოდა ნინიკოს.

– და შენ აპირებ ეს საჯაროდ განაცხადო?!. – სუნთქვა ეკვროდა ბიჭს, – გინდა ის იხსნა და თავი დაიღუპო? – უცებ ენერგიულად მიუბრუნდა ლენას: – ლენა დეიდა, გემუდარებით, ვიცი ამის სიჯიუტე და წინდაუხედაობა, არაფრით არ მისცეთ უფლება მოწმედ დაუდგეს იმ იდიოტს!

– ნინიკო! – მკაცრად შეხედა დედამ შვილს გაფრთხილების ნიშნად.

– არა, – ადგილს ვერ პოულობდა ბიჭი, – შენ მართლა გინდა ეგ განაცხადო?



ნინიკომ მშვიდად აიღო თავი და უდრტვინველად აღიარა:

– მე უკვე განვაცხადე!

ამის თქმა და ლავის გადმონთხევა ერთი იყო, დედა და ზურა ერთმანეთს არ აცლიდნენ: სად განაცხადე? როდის? როგორ? რატომ? რისთვის?..

ნინიკო იდგა ისე, თითქოს ეს ყველაფერი მას არ ეხებოდა.

ამან საბოლოოდ გამოიყვანა ზურა წონასწორობიდან და გარეთ გავარდა. დედა კი ისე დადუმდა, თითქოს ენა ჩავარდნოდეს. ხედავდა, ფუჭი იყო ახლა ყოველგვარი შეგონება, ჭკუის სწავლება, დარიგება.

ნინიკო იდგა ფანჯარასთან, გაჰყურებდა ლურჯ ცას, ზედ აქა-იქ გამოკიდებულ ქულა ღრუბლებს და გასაოცარი სევდა თუ სიამენარევი ნაღველი უვსებდა გულს. თითქოს ჭექა-ქუხილმა გადაიარაო, დამშვიდდა, დაწყნარდა ყველაფერი. ნელ-ნელა ფიქრებმა აიყოლიეს და ამან ერთბაშად დააბრუნა დედამიწაზე. მიმოიხედა. დედას რომ მოჰკრა თვალი, შეკრთა: იცოდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა ახლა იმის გულში და დასამშვიდებლად მივიდა, ხელი მოხვია, ლოყაზე აკოცა, ტკბილად, ხუმრობით ჩასჩურჩულა:

– ლენა პავლოვნა, ნი ბუზი, პაჟალუსტა! ყველაფერი რიგზეა, ნუ გეშინია!.. ქმარი კაპიტანი ხომ გყავს? ჰოდა, შვილიც კაპიტანია, მეტი რა გინდა?

ქალს სიცილი წასკდა და ცრემლი მოერია. ცხვირსახოცი მოიშველია და ბუზღუნით წამოდგა:

– არ ვიცი, რა გამოვა შენგან! – ნელი ნაბიჯით აბაზანაში გავიდა. რომ დაბრუნდა, დაინახა, ნინიკოს სავარძელი ფანჯარასთან მიედგა და ინტერესით ათვალიერებდა იმ წიგნს, ახლა რომ მოიტანა.

## 8

ნინიკო მთელი სამი დღე არსად გამოჩენილა. ამხანაგებმა იცოდნენ, რაშიც იყო საქმე და არ აწუხებდნენ. როგორც იქნა, შორეული ნაოსნობიდან თავის ნავსაყუდარს დაუბრუნდა უზარმაზარი საოკეანო ხომალდი და კაპიტანი კორაძეც მონატრებულ ცოლ-შვილში ატარებდა მთელ თავისუფალ დროს. მხოლოდ მაშინ მოჰკრეს იმათ თვალი, ერთ საღამოს მთელი ოჯახი სანაპირო ბულვარში სასეირნოდ რომ გამოვიდა. კორტებზეც შეიარეს და ყველას გამოელაპარაკნენ.

მეორე დღეს ნინიკომ კვლავ განაახლა ვარჯიში. დილით ისევ ალიონზე მიდიოდა, მაგრამ უკან მალევე ბრუნდებოდა, რომ მამასთან ერთად ესაუზმა და მერე ქუჩებში სახეტიალოდ გაჰყოლოდა მას, რაც ასე ძალიან უყვარდა მშობლიურ ქალაქს მონატრებულ კორაძეს.

ერთ დილით, სხვები რომ ჯერ არც კი გამოჩენილიყვნენ კორტებზე, ნინიკო სწრაფად მორჩა მოთელვას და შინისკენ გასწია. მთავარ ქუჩაზე გავიდა თუ არა, დაინახა: გუბკას ცალი ხელი თავის ხუთი-ექვსი წლის დისათვის ჩაევლო, მეორეს საათის ქანქარასავით იქნევდა აქეთ-იქით და იმოდენა ნაბიჯებით მიაბოტებდა, ბავშვი ძლივს ეწეოდა.

ნინიკოს კარგა ხანია აღარ ენახა გუბკა და ცოტა გამოცვლილი ეჩვენა, თითქოს გამხდარიყო, ან იქნებ მისთვის შეუფერებლად სრულ ხალათში ჩანდა ასე. წელზე ქამარი დაგრეხოდა და ნინიკოს გაეცინა: გუბკა რაღა გუბკა იქნება, წესიერად ეცვას და რამე არ ჰქონდეს აჩაჩული?

ისევ მოაგონდა ის ამბავი... სწორედ მას მერე დაიკარგა გუბკა. აღარც კორტებზე გამოჩენილა, არც ბაღში, არც ახალგაზრდულ კაფეში, არც ზღვაზე. ალბათ სცხვენია, ასეთი რამ რომ დასწამეს... ან იქნებ სხვა რამ მიზეზია? ეს კია, რომ აღარ ეკარება ახალ ამხანაგებს. იმ ლეიტენანტმა გოგიძემ კიდევ ნინიკოს დაავალა, იქნებ მიმიხედოთ, თქვენს წრეში ჩააბათო. მაგრამ რა ქნას თუ კი იმ ბიჭმა თვითონ ამოიკვეთა ფეხი და არავინ უნდა?

კვლავ ცხადლივ დაუდგა თვალწინ ლეიტენანტთან შეხვედრა სწორედ იმ დღეს, ზურამ რომ ისე უკულმართად დედას ყველაფერი ჩაუკაკლა და კინაღამ გადარია ქალი.

ლეიტენანტი ნინიკოს ნათიას სახლთან ელოდა. გოგონა სახტად დარჩა, გვერდი რომ ჩაუარა მას და იმან კიდევ, „კაპიტანო“, გამოსძახა. პირველად ხედავდა ამ კაცს და გაოცებული შეაჩერდა.

მალე გაიგო, რაშიაც იყო საქმე, მაგრამ მისგან რას ითხოვდნენ, კარგად ვერ გარკვეულიყო.

— მე რა შემიძლია? — შეწუხებული იჩეჩდა მხრებს.

— რა და, უბრალოდ, ხელი არ ჰკრათ, ხშირად იყოს თქვენს წრეში. დარწმუნებული ვარ, თქვენთან იგი არაფერს არ დააშავებს, — არიგებდა უფროსი.

ნინიკოს გაეცინა:

— არ დააშავებს კი არა და, რამდენჯერაც ერთად მოგ',იწია ყოფნა, რამე ოინი, რომ არ მოგვსვლოდა, არ შე‹.ძლებოდა. ისეთი ფათერაკიანია რომ...

— ო, ეგ კი!.. — ხმამაღლა გაეცინა ლეიტენანტს, — რაც მართალია, მართალია! მაგრამ ეგ არაფერი. ცოტა უსიამოვნებას კი ავიტანთ. აგერ, რამდენიმე დღის წინათ, ერთი ალიაქოთი აუტეხია... და გაგიკვირდება, სად? ბიბლიოთეკაში. აბა! მის ხელში წიგნი არასოდეს უნახავს ვინმეს. ჰოდა, ახლა დაუვლია თურმე ქალაქის ყველა ბიბლიოთეკა, ერთ წიგნს ეძებდა და არსად არ ჰქონიათ. ბოლოს საოლქო ბიბლიოთეკაში მიუსწავლებიათ, მაგრამ, საუბედუროდ, იქ ერთადერთი ცალიღა აღმოჩენილა და შინ არ გაუტანებიათ, სამკითხველო დარბაზით ისარგებლეო. ამდგარა, დაუვლია ხელი იმ წიგნისათვის და გარეთ გამოსულა. დადევნებიან ბიბლიოთეკარები, ატეხილა ერთი ამბავი. ბოლოს ვიღაცას უთქვამს, მე მაქვს ეგ წიგნი, მიეცით და, თუ დაგიკარგავთ, ჯანდაბას, ჩემს ეგზემპლარს მოგიტანთო, და მიუციათ. მასთან რომ მივედი შინ, ერთი გენახა, რა ყოფით კითხულობდა.

— რა წიგნი იყო ასეთი? — დაინტერესდა ნინიკო.

— კარგად არ მახსოვს, — ვერ მოიგონა გოგიძემ, — სათაური ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა. მგონი რომელიღაც ფრანგი მწერლისაა...

— რომენ როლანის?

— ჰო, ჰო, ეგ!.. — გაუხარდა ლეიტენანტს.

— „კოლა ბრუნიონი“.

— ჰო, ჰო, ნაღდად ეგ იყო.

ნინიკოს გულიანად გაეცინა. გუბკა რომ ახლა აქ ყოფილიყო, ალბათ, ჩააფარებდა თავში, მაგრამ გაახსენდა უცებ, ამ ბოლო დროს მისი ასავალ-დასავალი რომ არ იცოდა და შეფიქრიანებული მიაჩერდა ლეიტენანტს.

— ახლა ერთ რამეზეც მინდა შეგაწუხო, — შორიდან დაიწყო გოგიძემ. — გუბკაზე საკმაოდ სერიოზული ეჭვი იქნა მიტანილი. რა დაგიმალო, ის მანქანა რომ გაქრა, მის გატაცებას მაგას აბრალებენ. მაგრამ იმას უტყუარი ალიბი აქვს. მის ნათქვამს ზუსტად ემთხვევა ბიძამისისა და სამი ბიძაშვილის ნაამბობი, რომ იმ დროს ისინი პოლიგონზე ცხენებს აჯირითებდნენ. ისიც კი თქვეს, გუბკას ერთი გოგონაც ახლდაო, შესანიშნავად დააჭენებდა ცხენსაო... ცხენის სახელიც კი მითხრეს, მგონი „ჩაკო“ თუ „ჩიკო“... ამას რა მნიშვნელობა აქვს... რაც მთავარია, იმათ არ იციან, ვინ იყო ის გოგონა... მე მაშინვე მივხვდი: ის გოგო თუ ვინმე იქნებოდა, უეჭველად ჩვენი კაპიტანი იქნებოდა-მეთქი. ბოლოს და ბოლოს გუბკა გამომიტყდა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, შენ თუ არ დაემოწმე. ახლა შენზეა საბოლოო სიტყვა. — გამომცდელი თვალი დაადგა გოგონას. მანამდე უცქერდა, სანამ ნინიკომ არ ჩაილუღლუღა: ჰო, მე ვიყავიო.

— ასეც ვიცოდი! — უცებ გალაღდა ლეიტენანტი, — ეჭვი არ მეპარებოდა, სიმართლეს იტყოდი.

— კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც მაგაზე მიიტანეს ეჭვი? — არც თუ უსაფუძვლოდ დაინტერესდა ნინიკო. გულისფანცქალით ელოდა, რამე საშინელი არ ეთქვა ლეიტენანტს. ისიც არ მოყვა წილადობილას, პირდაპირ უთხრა, თუმც, ალბათ, როგორც ნინიკოს მოეჩვენა, ბოლომდე არ თქვა სათქმელი:

— ეჭვი სიგნალის შედეგად აღიძრა. ვიღაცამ დარეკა მილიციაში.

ნინიკოს ტუჩები გაუფითრდა. გაბზარული ხმით იკითხა:

— მერე, ასე დარეკვით შეიძლება კაცი დაიჭიროთ?

—მერედა, ვინ დაიჭირეს? — გაუკვირდა გოგიძეს. — არ დაუჭერიათ, მხოლოდ დაკითხეს. მაშ, სხვაგვარად როგორ იქნებოდა?

ნინიკოს გულზე მოეშვა, ხოლო ლეიტენანტის ნათქვამმა, გუბკას ვერსია საბოლოოდ მოიხსნაო, იმდენად აღაფრთოვანა, ტაშიც კი შემოჰკრა, და ის იყო სწორედ, ისე აფრენილი რომ დაბრუნდა იმ დღეს სახლში.

ამ ფიქრებში ნინიკო კიდეც მიადგა თავის ეზოს და სწრაფად აირბინა კიბე. მამა უკვე ამდგარიყო, საუზმე გაეწყო და ელოდა. დედა, როგორც ყოველთვის, სამსახურში გაქცეულიყო.

საუზმის შემდეგ ქალაქის ქუჩებში სახეტიალოდ წავიდნენ. დავითს სანაოსნოშიც ჰქონდა ცოტა საქმე და იქაც შეიარა. იქიდან წამოსულებმა, ნინიკოს წინადადებით, ბაზარში შეუხვიეს.

დედა რომ შესვენებაზე მოვიდა, სუფრა გაშლილი და-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ხვდა. მამა-შვილი სიხარულით შეჰყურებდა პატარა ბავშვივით თვალებგაბრწყინებულ ქალს.

— ოჰო!.. — მოწონებით შემოჰკრა ხელი ხელს ლენამ, — აი, მესმის ქმარ-შვილი!

მამამ ღიმილით შეიფერა ქება და თავმომწონედ განაცხადა:

— ქალი ვარო, თქვენ უნდა ბრძანოთ, ქალბატონო, ორი კაპიტანი გემსახურებათ.

დედას კი ჩაეცინა, მაგრამ ნინიკოს რატომღაც ლოყები აეწვა. არასოდეს ასე არ უთაკილია თავისი მეტსახელი, როგორც ახლა. უწინ ყურადღებას არ აქცევდა ამას, პირიქით, კიდეც მოსწონდა, ასე რომ ეძახდნენ. ახლა კი რაღაც შეუცნობელი, ამაფორიაქებელი განცდა აღძრა, მოუსვენრობამ შეიპყრო. ამ ბოლო დროს ხშირად ემართებოდა ასე, ცდილობდა არ გამოემჟღავნებინა ეს, მაგრამ ვერ ახერხებდა ყოველთვის და მოწყენა ერეოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ხალისიანი დღეები აკლდა.

მორჩებოდნენ თუ არა დილის ვარჯიშს, ყველანი ზღვაზე გარბოდნენ. საღამოს წვრთნის შემდეგ სასეირნოდ ეშურებოდნენ. ათას რამეს იგონებდნენ გასართობად. ზურასთან გაბუტვაც ვიღას ახსოვდა. ლერიც უფრო ხშირად ჩნდებოდა. დროდადრო ლალიც შემოივლიდა კორტებზე თავისი ამხანაგი გოგო-ბიჭებით.

ერთხელ ყველანი, გარდა ლერისა, ზღვაზე იყვნენ გასული და ბანაობდნენ. მალე ისიც გამოჩნდა და საერთო აღტაცება გამოიწვია. ელეგანტურად იყო გამოწყობილი და ბანაობას არ აპირებდა. ბიჭები გარს შემოეხვივნენ და ტანსაცმლიანად დაუპირეს წყალში ჩაგდება, მაგრამ იმით აირიდა ეს, რომ ყველას დაჰპირდა ნაყინსა და ლიმონათზე დაპატიჟებას.

ბანაობის შემდეგ მართლაც ათი-თორმეტი გოგო-ბიჭი ზედ პლიაჟთან წამოდგმულ პავილიონს შეესია. მიადგეს მაგიდები და მოაყარეს და მოაყარეს ნაყინი, ლიმონათი, ხილის წვენი.

— ეს რის აღსანიშნავად? — ჰკითხა ბუკამ ლერის და დიდი სიამოვნებით მოწრუპა ცივი ლიმონათი.

— ეს იმის აღსანიშნავად, რომ ჩემები ჩამოვიდნენ, — ხმამაღლა, ყველას გასაგონად გამოაცხადა ლერიმ და გვერდით მჯდომ ნინიკოსაკენ გაექცა თვალი. ნინიკომ იგრძნო ეს შემოხედვა და ლოყები აუფერადდა. ზურას არ გამოპარვია ეს ფერისცვალება და ერთბაშად გაუმრუდდა გუნება, თავისებურად ჩამოუშვა ცხვირი. ვერც კი შეამჩნია, როგორ აიშალნენ სხვები და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. რომ გამოერკვა, დაინახა: ლერი და ნინიკო ხეივანში უკვე საკმაოდ შორს გასულიყვნენ და სავსებით განმარტოებულნი მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით. ყველაზე მეტად იმან უჩხვლიტა, რომ ნინიკოს ჩანთა ლერის მიჰქონდა.

დააპირა მათ გაჰყოლოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოუბრუნდა ლერი და შორიდან გამოსძახა:

— ზურა! მანდ დამელოდე, საქმე მაქვს შენთან. მალე მოვალ!

ზურას გზა მოეჭრა. მიხვდა, ეს ფანდი რომ იყო და



ბოღმა მოაწვა ყელში. რაღას იზამდა? ჩრდილში სკამი მონახა და გულმოსული დაებერტყა.

ლერი მთელი ექსტაზით ყვებოდა რაღაცას, რომ როგორმე არ დაეკარგა გოგონას ყურადღება და განწყობილება. ბოლოს და ბოლოს მაინც გაუნელდა ცეცხლი და დადუმდა. დიდი ხნის შემდეგ ძლივს დაძრა ენა:

— ნინიკო!.. მე ბევრი კი არაფერი... ერთი სიტყვა მაქვს და...

— გისმენ, — ხმადაბლა თქვა ნინიკომ და გაჩერდა. დაკვირვებით, გამომცდელი თვალით შეაჩერდა ყმაწვილს. უჩვეულოდ სერიოზული, მკაცრი გამოხედვა ჰქონდა და ბიჭი ცოტათი შეკრთა. ისევ გოგონამ წაათამამა, თქვი, რა გინდაო.

— ისეთი არაფერი, — ლუჭვით დაიწყო, მაგრამ უცებ გამოცოცხლდა და ნაძალადევი მხიარულებით გააგრძელა: — იცი, რა მინდა?.. მინდა დედაჩემი და მამაჩემი გაგაცნო... იმათაც უნდათ შენი გაცნობა...

ნინიკოს ფეხი აერია, ძლივს წადგა ორი ნაბიჯი. თვალი ვერ გაუსწორა ბიჭს. ლერიმ კი, რაკი ერთი დაძრა ენა, მისთვის ჩვეული ენაწყლიანობაც დაუბრუნდა:

— ვიცი, გიკვირს, არა?.. მაგრამ არაფერია აქ გასაკვირი. უბრალოდ, მკითხეს, აქ რა დრო გაატარე, ვის დაუმეგობრდი, მოწყენილი ხომ არ იყავი, ხომ არ ნანობ, აქ რომ დაგტოვეთო. მეც ვუპასუხე, კარგი ამხანაგები რომ არა, — თქვენზე ვუთხარი, — ნამდვილად ვინანებდი-მეთქი... შენზე ვთქვი, რომ ძალიან კარგი საამხანაგო გოგოა, კაპიტანს ეძახიან-მეთქი... ჰო, ისიც მოვუყევი, ბიჭი რომ მეგონე, და ბევრი იცინეს... გუშინ საღამოსვე გამოვისეირნეთ კორტებისაკენ... დედას ძალიან მოეწონე! თვად შემომთავაზა, ჩვენც გაგვაცანი ეგ გოგონაო, და უარს ხომ ვერ ვეტყოდი?

ნინიკომ დიდი გაჭირვებით, საკმაო დუმილის შემდეგ ძლივს ამოიღო ხმა ენის ბორძიკით:

— ჰო, უნდა გავიცნოთ ერთმანეთი... ჩვენ ხომ თურმე ნათესავები ვართ და...

ლერი უცებ ვერ მიუხვდა ქარაგმას, გაკვირვებით შეხედა, მაგრამ რომ დაინახა, მისი თვალები როგორი დაცინვით კვესავდნენ, ისეთ უხერხულობაში ჩავარდა, თვით ნინიკოს შეეცოდა ეს საქციელწამხდარი თავმომწონე ბიჭი. ისეთი უმწეო ჩანდა ახლა, რომ თანაგრძნობის განცდაც კი გაუჩნდა მის მიმართ. კიდეც ინანა, ასე გამეტებით რომ დაგესლა, მაგრამ გაფრენილ ისარს, გაფრენილს კი არა და, უკვე მიზანს მიღწეულს, უკან როგორღა დაიბრუნებდა?

— ეჰ, რას იზამ, ხდება ხოლმე, — თქვა და ისე გააქნია თავი, თითქოს ყველა ავი ფიქრი და ზრახვა ერთბაშად უნდა მიმოფანტოსო.

ვაჟმა მორჩილად და დამორცხვებით ძლივს შეხედა თვალებში:

— აღარაფრის ღირსად აღარა მთვლი ალბათ, არა?

— რატომ? — უდარდელი, ხალისიანი კილოთი მიაგება, — ყოველ შემთხვევაში, მაგან არავის არაფერი ავნო.

...სახლში მისულ ნინიკოს დედის წერილი დახვდა: მე და მამა ველარ დაგელოდეთ, ქალაქგარეთ ჩვენი ნაკვეთის დასახედად წავედითო.

მოიღუშა, უხალისოდ ისადილა, აზრმიუტანებლად მიალაგ-მოალაგა იქაურობა.

და თუმცა ჯერ ძალიან ადრე იყო, დაავლო ხელი თავის ჩანთას და ისევ კორტებისკენ გასწია. თამაში ისე არ სურდა, როგორც გულის გადაყოლება. იცოდა, ამ ბოლო დროს, თითქოს საგანგებოდ, ყველანი დროზე ადრე მოდიოდნენ და ვარჯიშის ნაცვლად ნიაზ მასწავლებლის მოსვლამდე ერთ ადგილას გროვდებოდნენ, ათას რამეზე დავობდნენ და კამათობდნენ, უამრავ ჭორსა თუ მართალს დაახვავებდნენ თავიანთ საფიხვნოზე.

ლერიც დროზე ადრე გამოჩნდა კორტებზე. გაუხარდა, ნინიკო და ნათია რომ დაინახა. არავის ელოდა ასე ადრე. გოგონები, ჩრდილში მიმდგარნი, რაღაცაზე ხალისიანად ეღურტულებდნენ. ნინიკო ჩოგნით ბურთს კენწლავდა და თან ლაპარაკობდა. უჩვეულოდ გამოცოცხლებული ეჩვენა იგი და გაუკვირდა. ასეთი არასოდეს უნახავს. ნინიკომ ლერი რომ შენიშნა, შედგა. ნათია ახლოს მივიდა ბიჭთან.

— შენ ისე ხარ გამოწკეპილი, ნამდვილად თამაშს არ აპირებ. აკი სანაძლეოზე უნდა გვეთამაშა შერეულ წყვილებს?

— გადავიფიქრე. ახლა წვრთნაა და უხერხულია. დილისთვის იყოს.

წვრთნა მოგვიანებით დამთავრდა. დაღლილ-დაქანცულები, მაგრამ გახალისებულნი გამოვიდნენ გასახდელიდან. ნინიკო და ზურა თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ თავიანთი ჩანთებით. ლერი ბუკასთან იდგა, რომელიც ყველაზე ადრე გამოხტა შხაპიდან და უკვე გამოკოხტავებულიყო. ნინიკო მიუახლოვდა მათ და გაჩერდა, ზურამ კი, ვითომ ვერც კი შეენიშნოს ისინი, გზა განაგრძო, ის იყო, უნდა ჩაეარა კიდეც, რომ ბუკამ დაუძახა და შეაჩერა:

— შენ რა, — თავისებური კვიმატობით დაიწყო მან, — მაგ ცხვირი ამხელაზე რომ ჩამოგიშვია, ხერხი არ გაქვს სახლში, ცოტა ჩამოიხერხო?

ზურამ იდაყვი დაანახვა:

— გადი ერთი, შე რიყიკავ, თორემ...

ბუკა სიცილით იგუდებოდა:

— ბიჭო, რაა, ხასიათს გაუფუჭებ ადამიანს. მშიერმა კაცმა რომ შემოგხედოს, მადა დაეკარგება. გაწყენინეთ რამე?

— იჰ! მომეშვით! — წყენით აიქნია ხელი ზურამ.

ლერი სერიოზულად მიუბრუნდა მას:

— არა, იქნებ მართლა დამნაშავე ვართ რამეში? თქვი ვაჟკაცურად!

ზურამ ყვედრებით გახედა მას, მერე თვალი აარიდა და ისე ჩაიბუზღუნა:

— კარგია რა!.. კაცი იმდენ ხანს მალოდინე... ახლავე მოვალო და...

ლერის გაახსენდა ეს და ელდა ეცა. რაღაც მოჭორა, თბილისელი ამხანაგები შემხვდნენ და გულს გადამვარდაო, ბოდიში მოუხადა. ზურამ კარგად იცოდა, ლერი რომ ცრუობდა, ბოდიში მაინც ესიამოვნა და ცოტათი დამშვიდდა.

ყმაწვილები ხმაურით გამოვიდნენ ჭიშკრიდან და

იქვე მიმოიფანტნენ. ზურა, ლერი და ნინიკო მაღალ კვიპაროსთან შეჩერდნენ. ნინიკო თითქოს ამის იქით წასვლას არ აპირებდა, გაჩერდა და თვალებით ვიღაცას დაუწყო ძებნა. წარამარა იხედებოდა აქეთ-იქით. ლერი ხალისით ყვებოდა რაღაც საინტერესო ამბავს; ნინიკო ცალი ყურით უსმენდა, ზურა კი არც უსმენდა და არც არაფერს ამბობდა, ფიქრებში იყო წასული. ლერიმ შენიშნა, ნინიკოს სულაც რომ არ ეტყობოდა გულისყური და თვითონაც მოდუნდა. გოგონა ისევ და ისევ ზვერავდა გარემოს. ბოლოს ვიღაცას მსუბუქად დაუქნია ხელი. ლერიმ თავისდაუნებურად იქით მიიხედა, საითაც ნინიკო იცქირებოდა და მოულოდნელობისაგან გაშრა. ზურას ხომ ადამიანის ფერი დაეკარგა, ტუჩები ჩაულურჯდა, ყვრიმალზე კუნთი დაეკუშტა... მათკენ თავშეკავებული ღიმილით გუბკა მოდიოდა, რაღაცნაირად შეცვლილი, დამორცხვებული, მორიდებული, თავის ტყავში რომ ვერ იქნება კაცი. გახამებული თეთრი მოკლესახელოებიანი ხალათი მჭიდროდ ჩაეკეცა ვიწრო მეზღვაურულ აფრისის ლურჯ შარვალში, მუდამ აჯაგრული თმა შეეკრიჭა და კოხტად დაევარცხნა.

გაუბედავად მიადგა იგი ამხანაგებს და გაჩერდა. ბიჭები დაიბნენ, ვერც კი მოახერხეს დაეფარათ ის უსიამოვნების განცდა, რაც მისმა გამოჩენამ გამოიწვია. მაგრამ გუბკას არ შეუნიშნავს ეს, ან იქნებ არ შეიმჩნია. ისევ ძველებურად, უშუალოდ, ყოველგვარი შემოვლისა და ყალბი თავაზის გარეშე დაუქნია თავი ბიჭებს და ხელი გაუწოდა. უხერხული ვითარება შეიქმნა. ნინიკო არეული და დაბნეული იდგა, ამან თანაგრძნობა გამოიწვია თუ რა იყო, ლერის ერთბაშად სურვილი აღეძრა, გამოესწორებინა მდგომარეობა.

— ბიჭოს, გაგონილა ეს? — ხმამაღლა დაიწყო, — სად ხარ, ძმაო, სად დაიკარგე? შენზე იმდენი რამ გავიგეთ, საინტერესებს, ერთი, სიმართლე. რა გინდა, ბატონო, მთელი ქალაქი შენზე ლაპარაკობდა ამ დღეებში.

— ჭორებია, — მოკლედ მოსჭრა გუბკამ.

— თავისთავად ცხადია, — დაემოწმა ლერი, — ის მანქანა ხომ სადღაც სოჭთან დააკავეს. მართალი გითხრა, არც მიფიქრია, რომ შენ წაიყვანდი.

— ჰო, — მადლიერებით შემოხედა გუბკამ ლერის და ანაზდად ზურას გახედა. იმან, სახეალეწილმა, მაშინვე აარიდა თვალი; გაახსენდა, როგორ მოვიდა ზურა მასთან ყველა იმ ამბის შემდეგ და გააფრთხილა, არასოდეს არ გამოჩენილიყო იქ, სადაც თვითონ და მისი ამხანაგები იქნებოდნენ. გუბკაც ვაჟკაცურად დაჰპირდა, თუ თქვენ არ გსურთ ვიამხანაგოთ, მე როგორ მოგეძალებითო... და ასეც იქნებოდა ბოლომდე, ნინიკოს რომ არ ებრძანებინა აქ მოსვლა.

დაძაბული სიჩუმე ისევ ლერიმ დაარღვია:

— კაპიტან, რას იტყვი? არ დავიძრათ?

ნინიკომ მშვიდად ასწია თავი და ისე დაიწყო, თითქოს სამძიმო რამე უნდა ეთქვა, ტკეპნით, სვენებ-სვენებით:

— იცით რა, ბიჭებო?.. მე დღეს... არა, უკეთ რომ ვთქვათ, ხვალ... ერთი სიტყვით, ძალიან ადრე უნდა ავდგე...



რომ დაატყო, რა გაოცებით შემოაჩერდნენ ბიჭები, სწრაფად დაიწყო:

— აი, გუბკას მამამ — სეინერის კაპიტანია — გვითხრა, რომ ხვალ დილით რეწვაზე მიდიან შორს ზღვაში და ჩვენც წაგვიყვანს. ოღონდ, ძალიან ადრე გადიან, ექვსი საათისათვის... და ხომ უნდა გამოვიძინოთ ცოტა?

გოგონამ ყმაწვილებს გადახედა, თქვენ რას იტყვითო. ისინი კი გაოცებულები შესცქეროდნენ და თქმას კი არა,ვერაფრის მოსაზრებასაც ვერ ახერხებდნენ. ამიტომ თავად სცადა გაეფანტა უხერხული დუმილი:

— იცით, რა იქნება?.. ოცნება! თევზებს რომ ამოყრიან უზარმაზარი ბადით... ა, არ გინდათ? თქვენც შე-

გიძლიათ წამოხვიდეთ, — პირველად ზურას შეხედა. იმან რაღაც ჩაიდუდუნა და უარის ნიშნად თავი გააქნია. ლერიმ კი დანანებით, თითქოს რაღაც ძვირფასი დაკარგოდეს, ამოიხვნეშა და ყბამოქცევით, ირონიულად გააკანტურა თავი:

— დიდი მადლობელი ვარ თქვენი, კაპიტან, მაგრამ თევზის სუნს ვერ ვიტან. მეშინია, უვარგის ნამაყრალს არ დავემსგავსო და მეზღვაურებმა შუა ზღვაში არ გადამიძახონ. — ცოტა არ იყოს, კოკობზიკურად ჩაიცინა და თითქოს ნიშნისგებით გახედა ქალიშვილს.

— ძალიან საწყენია, — ღრმად ამოიხვნეშა ნინიკომ და თვალი აარიდა ლერის დაჟინებულ მზერას. მერე გუბკას შეხედა, მისი საყელო შეათვალიერა და ბიჭს უთხრა, — ამ საყელოს ვერ გაისწორებ, ასე ულაზათოდ რომ გაქვს გადმოწეული? — მივიდა და უსწორმასწოროდ გადმოკეცილი საყელო გაუსწორა. მერე თითქოსდა მართლაც დიდი სადავიდარაბო საქმე ყოფილიყოს, ისე დაუმატა:
— ერთი ამას თუ ეშველება როდისმე რამე, წესიერად ჩაცმა-დახურვა ისწავლოს.

— ეშველება, ეშველება! შენს ხელში რას არ ეშველება! — საკმაოდ გესლნარევი ირონიით ჩაიდუდუნა ზურამ და დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი!

ნინიკომ გამეხებით გამოხედა. აილეწა და თვალები რისხვით აენთო, მაგრამ ლერის რომ მოჰკრა თვალი, რომელიც დონჯშემორტყმული, თავდაღუნული ქვეშიდან გამოჰყურებდა ეშმაკური თუ დამცინავი, შემწყალებელი თუ ალერსიანი თვალებით, ერთბაშად მოეშვა, გაუგებარი სიხარულის გრძნობამ აიყოლია და გულიანად გაიღიმა.

როგორც ყველა ძვირად მომღიმარს, ნინიკოსაც საოცრად დაშვენდა ღიმილი. ეს მაშინვე შენიშნა ლერიმ.

იდგა გაუნძრევლად და უყურებდა, როგორ მიდიოდა კაპიტანი მათგან: ნელა, წყნარად, გამოზომილი, მსუბუქი ნაბიჯით. უკან არც კი მოუხედავს, ისე მიეფარა თვალს.

— რა უცნაურია ეს გოგო! — შემოესმა ზურას ხმა და გამოერკვა. მოიხედა, ორნიღა დარჩენილიყვნენ. გუბკაც გამქრალიყო. დანანებით გააქნია თავი და თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა:

— ჰო, უცნაურია!.. — თქვა და კვლავ ჩაფიქრდა.

— მაინც, საოცარია, — ვერ ფარავდა თავის მღელვარებას ზურაბი, — რა ნახა ამ თევზაობაში ასეთი? რა უნდა იმ ამყრალებულ სეინერზე? არა, ვერ გამიგია!

— ჰმ, — დამცინავად გადმოხედა მას ლერიმ და ერთგვარი გულგატეხილობითა თუ ხელჩაქნეულობით, დარდიმანდულად დაუმატა: — მაგას შენ, ეტყობა, ვერასოდეს ვერ გაიგებ და ტყუილად ნუ იჭყლეტ ტვინს. ისევ ჯობია, წავიდეთ, ცივი ლიმონათით მაინც გავიგრილოთ გული.

მხარზე ხელი გადასდო დანაღვლიანებულ, დალვრემილ ამხანაგს და ბაღის ხეივანში გაიყოლია.

მარშრუტზე:

„პიონერები-პატრიოტ-ინტერნაციონალისტები“

ფოტო
დ. იაკობაშვილისა

**ნანა ფავლენიშვილი**

— ვიდრე ჩვენი ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის მუშაობაზე დავიწყებდეთ საუბარს, ერთი ლეგენდა უნდა გიამბოთ, — მითხრა თბილისის 147-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, კლუბის ხელმძღვანელმა ჟანეტა ახვლედიანმა.

მე და ქალბატონი ჟანეტა ნათელ, გემოვნებით მოწყობილ ოთახში ვსხედვართ. თაროებზე კოხტად აწყვია მოძმე რესპუბლიკების ალმები, გერბები, ვიმპელები, ბარათები, ლამაზად გაფორმებული ალბომები. ირგვლივ ისეთი სისუფთავე და წესრიგია, ეტყობა, ამ ოთახის მოწყობასა და გამშვენიერებაზე ბევრი უშრომიათ კლუბის წევრებს.

— თურმე სამმა ჭაბუკმა მწვერვალის დაპყრობა განიზრახა. გზად ბრძენი შემოხვდათ. ყმაწვილებმა ჰკითხეს, მწვერვალზე ასვლას თუ შევძლებთო.

— თან რა წამოიღეთო? — დაინტერესდა ბრძენი.

ერთმა ერთი თქვა, სხვებმა — სხვა: ყუათიანი საჭმელიო, თბილი ტანსაცმელიო, კარგი წერაყინიო, ძალა და ღონეო.

— არაფერი გამოგივათ, — დაბეჯითებით თქვა ბრძენმა.

ბიჭებს უნდობლად ჩაეცინათ, მაგრამ ვაი, რომ მოხუცის სიტყვები გამართლდა.

ერთი წლის შემდეგ ისევ გადაწყვიტეს მწვერვალის დალაშქვრა. ისევ შემოხვდათ ბრძენი, ისევ ჰკითხეს, მწვერვალს დავიპყრობთ თუ არაო.

— თან რა წამოიღეთო? — დაინტერესდა ბრძენი.

— რა და, ჩვენი მეგობრობაო, — უპასუხეს ბიჭებმა.

— ახლა ნამდვილად მიაღწევთ მიზანს! — უთხრა ბრძენმა.

მისი წინასწარმეტყველება ამჯერადაც ახდა...

— ეს ლეგენდა ჩვენი კლუბის ყველა წევრმა იცის, — თქვა ქალბატონმა ჟანეტამ, — ბავშვებმა იციან, რომ უმეგობრო ადამიანი უძლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია, გაუმკლავდეს ბუნების ძალას, შექმნას რაიმე ფასეული.

მარტის მზის შუქი უხვად იღვრება ფანჯრებში, საუბარს თითქოს მეტ გულწრფელობასა და სითბოს ჰმატებს.

— ჩვენი კლუბი „პლანეტა“ უკვე სამი წლისაა, — განაგრძობს ჟანეტა ახვლედიანი, — მის ემბლემაზე ლამაზი ცისფერი დედამიწაა გამოსახული. ბევრი საგულისხმო და საინტერესო კეთდება ინტერკლუბში. თუმცა, ჯობს მის საქმიანობაზე თავმჯდომარემ ილაპარაკოს.

— კლუბის მუშაობას მისი საბჭოს თხუთმეტი წევრი წარმართავს, — გვიამბობს მეცხრეკლასელი ანა ჯანიაშვილი. — ისინი წარჩინებული მოსწავლეები და აქტივისტები არიან. კლუბში ათი სექციაა, რომლებიც საინტერესოდ და ნაყოფიერად მუშაობენ. აი, ზოგიერთ მათგანს დაგისახელებთ:



სასიხარულოა მეგობრის ბარათის მიღება.



ნინო დოლენჯაშვილი ახალ ღონისძიებაზე ფიქრობს.

**საქართველო — მრავალეროვანი რესპუბლიკა.** ეს სექცია ჩვენი რესპუბლიკის ისტორიულ-რევოლუციურ წარსულს, ვ. ი. ლენინისა და მის თანამებრძოლთა ცხოვრების ისტორიას შეისწავლის.

**ნაირფერყელსახვევიანთა სექციაში** ნორჩები საზღვარგარეთის ქვეყნების ბავშვთა ორგანიზაციების ცხოვრებასა და საქმიანობას ეცნობიან, მეგობრობას ამყარებენ მათთან, უზიარებენ ჩვენი ქვეყნის პიონერული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

სკოლის კომკავშირის მდივანი შალვა ენუქიძე **საერთაშორისო მიმომხილველთა** სექციის მეთაურია. მისი სექციის წევრები რეგულარულად ესაუბრებიან მოსწავლეებს საერთაშორისო ვითარებაზე, პოლიტიკურ საკითხებზე, გმირი ანტიფაშისტების ცხოვრებაზე.

**ძმადნაფიცი ქალაქების** სექცია აცნობს მოსწავლეებს თბილისის ძმადნაფიცი ქალაქების — ლიუბლია-



ინტერკლუბის საინტერესო საქმიანობაზე მოგვითხრობს გიორგი ღუღუნაშვილი.

ნას, პალერმოსა და საარბრიუკენის ისტორიაა, მათ წარსულსა და აწმყოს, ამ ქალაქების ბავშვთა ორგანიზაციებთან ამყარებს მეგობრობას.

შარშან კიდევ ორი ახალი სექცია ჩამოყალიბდა:

**ნორჩ ტურისტთა** სექცია, რომელიც მოზარდებს აცნობს სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ღირსშესანიშნაობებს, აწყობს დაუსწრებელ ტურისტულ ლაშქრობებსა და ექსკურსიებს, უშვებს ალბომებს, და **ნორჩი გიდების** სექცია, რომლის წევრებიც ინტერკლუბის სტუმრებთან უცხო ენებზე ატარებენ ექსკურსიებს, აწყობენ საღამოებს, კონკურსებს.

— სასიამოვნო და სასიხარულოა, როცა შენი შრომის კარგ შედეგს ხედავ, — საუბარში თვალებცქრიალა გოგონები — ნინო დოლენჯაშვილი და ქეთინო გორჯოლაძე ჩაებნენ, — ჩვენ მასობრივ ღონისძიებათა მოწყობას ვხელმძღვანელობთ და ყოველთვის ვღელავთ, როცა სკოლაში ზეიმები, შეხვედრები, მანიფესტაციები ტარდება. მოვაწყეთ სტენდი „სსრ კავშირი — ხალხთა მეგობრობის ოჯახი", ჩავატარეთ საუბრები ნორჩ ანტიფაშისტებზე. მოვაწყეთ ექსკურსია გამარჯვების პარკში.

„მარტოკაცი ჭამაშიც ბრალიაო" — ნათქვამია. ჭეშმარიტად საბრალოა ის, ვინც საკუთარ ნაჭუჭში ზის და მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. ჩვენს მასპინძლებს კი ნამდვილად კარგი და გულითადი მეგობრები ჰყავთ, ამის დასტურია მრავალრიცხოვანი ბარათი და ამანათი.

„ძვირფასო მეგობრებო, — სწერენ ორჯონიკიძელი ამხანაგები, — მოხარული ვართ, რომ თქვენი სახით ნამდვილი მეგობრები შევიძინეთ. ჩვენ სპეციალიზებულ ინგლისურ სკოლაში ვსწავლობთ, ამიტომაც ყველა ღონისძიებას რუსულ, ოსურ და ინგლისურ ენებზე ვატარებთ. აქტიურად ვმონაწილეობთ სოლიდარობის ბაზრობებში, სადაც ჩვენი ნახელავი სუვენირები, სხვადასხვა ნაკეთობა გაგვაქვს, აღებულ თანხას მშვიდობის ფონდში ვრიცხავთ. ახლახან, მაგალითად, 401 მანეთი გადავრიცხეთ..." წერილები მოდის კიევიდან, ცელინოგრადიდან, ტაშკენტიდან, ფსკოვიდან, მოსკოვის, ერევნის, ბაქოს სკოლებიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან... — სამჯერ იყვნენ ჩვენი სკოლის წარგზავნილები უნგრეთში, დიდად კმაყოფილები ჩამოვიდნენ იქიდან, ჩვენც მოვიწვიეთ ძვირფასი სტუმრები თბილისში, დავათვალიერებინეთ დედაქალაქი, ვიმოგზაურეთ თელავში, მცხეთაში, ახალ ათონსა და სოხუმში, გადავიღეთ სამახსოვრო სურათები, ჩავატარეთ შეჯიბრებები, კონკურსები, კონცერტები, — გვიამბო **მიმოწერისა და კორესპონდენციის** სექციის წევრმა დათო ხეჩანაშვილმა.

ინტერკლუბელებმა სიამაყით გვიჩვენეს საპატიო დიპლომები და სიგელები, რომლებითაც ისინი ოდესაში ჩატარებულ საკავშირო ფესტივალში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ. ეს დიდი ღონისძიება ოდესის 106-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელის — ემანუილ გორის თაოსნობით მოეწყო. პროგრამა ძალზე საინტერესოდ იყო შედგენილი. მოეწყო პოლიტიკური პლაკატების კონკურსი, რომელშიც თავი გამოიჩინა გოჩა ჯავრიშვილმა. სპორტულ შეჯიბრებაში გაერთიანებული გუნდის კაპიტანმა კახა ენუქიძემ პირველობა არავის დაუთმო. კახა არა მარტო კარგი სპორტსმენია, არამედ კარგი მოცეკვავეც. ნინო დოლენჯაშვილისა და მის მიერ შესრულებულმა ცეკვა „ქართულმა" მოხიბლა მაყურებელი.

— იანვარში, — განაგრძობს ჟანეტა ახვლედიანი, — ვმონაწილეობდით ტალინში ჩატარებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში. ვეწვიეთ სკოლებს, გავეცანით მათი მუშაობის მეთოდებს. ახლა ჩვენც დიდი საზრუნავი გვაქვს, მაისში ჩვენთან უნდა ჩატარდეს ინტერნაციონალური მეგობრობის შეკრება, ჩვენი სკოლა უმასპინძლებს მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებს.

...თბილისის 147-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბისა და მისი ხელმძღვანელის — ჟანეტა ახვლედიანის მიერ ჩატარებულ ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებენ ის ჩანაწერებიც, რომლებიც შთაბეჭდილებების წიგნში დაუტოვებიათ პოეტებს — ვახტანგ გორგანელს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, ლადო სულაბერიძეს, პარტიისა და სამამულო ომის ვეტერანებს, სტუმრებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ნიკარაგუადან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან...

ინტერკლუბის წევრების სამომავლო გეგმებიც გვაიმედებს, რომ ნორჩი ინტერკლუბელები ახალ წარმატებებს მიაღწევენ, განამტკიცებენ ურთიერთობას ძველ მეგობრებთან, შეიძენენ ახალ მეგობრებს, თვითონაც გაძლიერდებიან, სხვებსაც ძალას შემატებენ და მაშინ, იმ ლეგენდის არ იყოს, დაულაშქრავი არ დარჩებათ არც ერთი მწვერვალი.



სიამაყით გვიჩვენებს ირაკლი ღლონტი სამახსოვრო საჩუქრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლ ე ი ლ ა  ე რ ა ძ ე

### აპრილმა იცის...

აპრილმა იცის
საოცარი გასხივოსნება,
აპრილში ხდება
სანუკვარი
ყველა ოცნება.
აპრილის ცაზე
სულ სხვაგვარი
სილაჟვარდეა,
აპრილი ჰკურნავს
კაეშნიანს,
ბედკრულს,
დარდიანს.
აპრილის ცაზე
ლაღად ბრწყინავს
ჩახჩახა მზე და
აპრილში გიყვარს
შენიანი
ყველაზე მეტად.
აპრილში გესმის
საოცარი
ჭექა-ქუხილი,
აპრილმა იცის
დავიწყება
ყველა წუხილის.
ნეტავი აპრილს
ამოდენა
ძალა ვინ მისცა?! —
აპრილმა იცის
დაბადება
უჩვეულ ყრმისა.
და მერე ეს ყრმა
ხალხს ცხოვრებას
გაუაპრილებს,
ხალხი მიჰყვება
და ენდობა
მის დანაპირებს.
ნეტავი აპრილს!..

### ჩემო მიწავ

მტკაველ-მტკაველ დასაკოცნო,
გოჯო-გოჯზე სათაყვანო,
ბედმა ცხრა მთას გადამტყორცნოს,
არ ვინდომო სხვა სამყარო.
ჩემო მიწავ მადლიანო,
ერთო ბეწოვ, ერთო ციდავ,
ხან თუ ზეცავ ნაღვლიანო,
ხან კაშკაშა ცაო წმინდავ!
მთებო, გულში ჩასაკვრელო,
კაცის ოფლით სავსე ზვრებო,
ცრემლო-ცრემლზე დასაღვრელო,
მამა-პაპის წმინდა ძვლებო.
სიყვარულში თვალნათელო,
სიყვარულით ასაფრენო,
გულსგულში ჩასაკვრელო
და ჩონგურზე დასამღერო.
მესმას შენი „ოროველა"
და ზარაქა მიწამ მოგცეს,
მე შენს გლეხკაცს შემოვევლე,
ატირებულ ვაზზე მლოცველს.
მტკაველ-მტკაველ დასაკოცნო,
გოჯო-გოჯზე სათაყვანო,
ბედმა ცხრა მთას გადამტყორცნოს,
შენს სიყვარულს ვერ გამყაროს!

### მცხეთა

მივყვები ტყეში ჩაკარგულ ბილიკს,
ცად აზიდულა ტოტები ხეთა,
მცხეთური მიწა მხვდება ამ დილით,
გაღიმებული მმასპინძლობს მცხეთა.
ცვრით დანამულა ფოთლები გზაზე,
ღაღადებს ქართლი სიმღერას დიადს,
ძველთაძველ ქალაქს ხალისით
ავსებს
და მტკვარს სიმღერა დუდუნით
მოაქვს.
მივყვები ბილიკს... რძისფერი
ნისლი
ჩამოსწოლია მთებსა და კორდებს.
ამ სიჩუმეში ფეხის ხმა ისმის,
ვით დიდი ზარის მძიმე აკორდი.
თითქოს ჩემსავით სუნთქავენ
მთებიც,
დუმილში სიტყვა ვეღარ დავძარი,
თითქოს გაშალა დაჭრილი ფრთები
და გასაფრენად შედგა ტაძარი.
ნაომარ ციხეთ ჩავუვლი კდემით,
სალამს გავძახებ და ხელს დავუქნევ,
გამახსენდება პაპანი ჩვენი,
მათი გმირობა და სიჩაუქე.
მოგონებებით გული მაქვს სავსე,
თვალი გამექცა კლდეკარს ფრიალოს,
დღეს უძველესი ქალაქის თავზე
ლაღი ნიავი დაბორიალობს.

## ო ლ ე გ  გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი

### დედის წერილი

მოცისფრო კონვერტს
ფრთხილად გადავხსნი,
შენი თითების ვიგრძენი
თრთოლვა,
თითქოს ბუდიდან ჯერ ვერ
გადამსვი
და უკვე თმაში ჩამოგათოვა.
ცრემლი მომდის და
დიდხანს დავყურებ
ჩემი ბავშვობის დიად
მისამართს,
ახლაც შენ ფრთები
გადამახურე —
შენთვის ბარტყი ვარ,
ისევ ისა ვარ.
ბავშვობას გავცდი,
ისევ მარიგებ,
მეგზურად კვლავაც
შენ მეყოლები.
დედის სიყვარულს ჩვენ
გვიან ვიგებთ,
როდესაც თვითონ ვხდებით
მშობლები.
ჩვენ ამ სიყვარულს
ჩუმად ვინახავთ,
ივი დიდია და ხელუხლები,
მაინც ვერ გეტყვი,
როგორ მიყვარხარ
შენ ჩემს ცხოვრებას
როგორ უხდები.
მოცისფრო კონვერტს
დიდხანს დავყურებ,
დედის თვალებით მარად
მზემოსილს.
სათონის თავზე, როგორც საყურე,
ანთია მთვარე ჩვენი ეზოსი.



**სარკმელი კოსმოსში**

**არჩილ ბეთანელი,**
პროფესორი

მხატვარი
დიმიტრი
ზარაფიშვილი



# შედგება თუ არა შეხვედრა

უკანასკნელი შეხვედრისას ჩვენ ვილაპარაკეთ სხვადასხვა პლანეტებზე გონიერ არსებათა ცივილიზაციების არსებობის შესაძლებლობაზე. როგორ შეიძლება ამგვარი დედამიწისგარე ცივილიზაციის აღმოჩენა?

დღეს მეცნიერები თვლიან, რომ ეს შესაძლებელია კოსმოსაინჟინრო მოქმედებით ან (თუ იგი ისევე ისწრაფვის დაამყაროს კავშირი დედამიწასთან) სიგნალების მოწვდენით. მაგრამ არ არის საკმარისი, მხოლოდ მიიღო სიგნალი, საჭიროა მისი გაგება და გაშიფვრაც. სიგნალის გამგზავნელმა (ჩვენ ვიქნებით ეს თუ სხვაპლანეტელები) იგი, რაც შეიძლება, უნდა გაამარტივოს, რომ შემდეგ ადვილად გაიშიფროს. შედეგი ალბათ საუკეთესო იქნება, თუ სხვაპლანეტელის ფსიქიკა დედამიწელის ფსიქიკის მონათესავეა, მაგრამ რა იქნება მაშინ, თუ ის ჩვენისგან პრინციპულად განსხვავდება? იქნებ შევძლოთ აღმოვაჩინოთ ისეთი ცნობები, რომლებიც მისაწვდომი იქნება ნებისმიერი გონებისათვის? აი, არცთუ იოლი ამოცანა, რომლის გადასაჭრელადაც იქმნება მეცნიერების ახალი დარგი — კოსმოლინგვისტიკა.

ზოგი მეცნიერი კაცობრიობას არც ურჩევს სხვაპლანეტელებთან კონტაქტის დამყარებას. ისინი შიშობენ, რომ უცხო ცივილიზაცია, რომელიც ტექნიკურად შეიძლება ძალიან მაღალ დონეზეც აღმოჩნდეს, ეთიკურად ვერ იყოს შესაბამისად განვითარებული. მაშინ, არ არის გამორიცხული, რომ იგი არც დაპყრობას მოერიდება...

კ. ციოლკოვსკი თვლიდა, რომ ერთადერთი, რასაც სამყაროს გონიერ არსებათა ურთიერთობა შეიძლება დაეყრდნოს, სოლიდარობისა და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპებია. მაგრამ, არსებობს სხვა მოსაზრებებიც. მაგალითად, ამერიკელმა სოციოლოგმა გ. ლასლუელმა წამოაყენა სხვაპლანეტელებთან მტრული დამოკიდებულების კონცეფცია. იგი შესაძლებლად თვლის სხვაპლანეტელთა აგრესიას დედამიწელთა წინააღმდეგ. არსებობს მოსაზრება, რომ განვითარების უმაღლეს დონეზე მყოფ სხვაპლანეტელებთან მშვიდობიანი შეხვედრისას დედამიწელთათვის განსაკუთრებით სახიფათოა ე. წ. საინფორმაციო შოკი, რომელსაც უთუოდ მათი მიღწევებით ჩვენი გაკვირვება გამოიწვევს.

შორეულ გალაქტიკებში მოგზაურობისათვის საჭიროა კოსმოსური ხომალდი მოძრაობდეს სინათლის სიჩქარის თანაბარი სიჩქარით. ცხადია, რომ ასეთი ხომალდის ძრავის მოქმედების პრინციპი სავსებით განსხვავებული უნდა იყოს თანამედროვე კოსმოსური ხომალდების ძრავის მოქმედების პრინციპისაგან.

როდესაც მომავალზე ვსაუბრობთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით 2100 წელს კაცობრიობამ შეიძლება შექმნას და დროით შეუზღუდველ კოსმოსურ მოგზაურობაში გაუშვას დედამიწელთა პირველი თაობა (100-200 ადამიანი). ამასთან, სრულებითაც არ იქნება საჭირო ისეთი აპარატის შექმნა, რომელიც სინათლის სიჩქარის თანაბარი სიჩქარით იმოძრავებს, რომ შორეული მოგზაურობიდან დედამიწაზე დაბრუნებაც მოასწროს. საკმარისია, გვქონდეს დედამიწასთან საიმედო კავშირი, ყველა მიმართულებით სრულვყოთ ჩვენი გონება (ვზარდოთ და სრულვყოთ კოლექტივი, გავუმჯობესოთ წევის, ენერგეტიკული, სამეცნიერო და დამხმარე სისტემების პარამეტრები, სამუშაო პროგრამა და ა. შ.). დედამიწისადმი — „გონების აკვნისადმი“ მუდმივი ერთგულება ნაკლებად მიმზიდველია არა მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეიძლება მუდმივად ცხოვრება „აკვანში“, ამბობდა კ. ციოლკოვსკი, არამედ იმიტომაც, რომ ამ აკვანს თავისი არსებობის სასრული ვადები აქვს და ამიტომ შეიძლება ვერ გამოდგეს საიმედო თავშესაფრად. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ კონკრეტულ საპლანეტო სისტემაზეც.

კოსმოსურ ცივილიზაციასთან კონტაქტის პრობლემას მოეპოვება არა მარტო ბიოლოგიური და საინჟინრო, არამედ სამართლებრივი ასპექტებიც. თუ სხვაპლანეტელებთან შეხვედრა გარდაუვალია, ეს მხოლოდ დროის საკითხია. მაშინ შესატყვისი პერიოდისთვის იურისტებს, რომლებიც კოსმოსური სამართლის სფეროში მუშაობენ, უკვე უნდა ჰქონდეთ გამომუშავებული პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც დამყარდება ურთიერთდამოკიდებულება დედამიწელებსა და სხვაპლანეტელებს შორის. მსოფლიოს გამოჩენილი იურისტების გამოკვლევათა საფუძველზე უკვე შექმნი-

---

დასასრული. იხ. „პიონერი“, № 2, 1987 წ.

ლია ე. წ. მეტასამართალი. ამ სახელწოდებაში იგულისხმება ისეთი სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც გამიზნულია სამყაროს სხვადასხვა გონიერი არსებების ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

რა არის მეტასამართლის ამოსავალი დებულება? რომ დედამიწისეული კანონების ჩარჩოები ვერ გამოდგება კოსმოსის პირობებში. ადამიანისაგან ადამიანისათვის შექმნილი კანონმდებლობის თავდაპირველი პრინციპი, ადვილი შესაძლებელია, სხვაპლანეტელებთან დამოკიდებულებისას მიუღებელი აღმოჩნდეს.

18.497

აი, როგორ ჟღერს მეტასამართლის „ოქროს წესი“ — „სხვებს ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც ეს მათ ენდომებათ“. გონიერი სიცოცხლე ევოლუციის უმაღლესი საფეხურია, ამიტომ ყოველი გონიერი არსება უნდა განვიხილოთ, როგორც საბოლოო ქმნილება, უნიკალური და ორგანულად დაკავშირებული მთელს კოსმოსთან. შეიძლება არსებობდეს სხვაობა ცივილიზაციის დონეში, სამეცნიერო მიღწევებში და თვით ზნეობრივ ნორმებშიც, მაგრამ ყველა ეს სხვაობა რაოდენობრივია და არა პრინციპული. სიცოცხლის სურვილი გონიერ არსებას როდი აძლევს უფლებას საკუთარი თავი სხვა გონიერ არსებასთან შედარებით დაბალი განვითარებისად მიიჩნიოს. შესაბამისად, იგივე მიზეზი არ შეიძლება აძლევდეს გონიერ არსებას უფლებას თავი ყველა სხვა გონიერ არსებაზე მაღლა დააყენოს. ეს განაპირობებს იურიდიულ კონცეფციას — თანასწორს არა აქვს უპირატესობა თანასწორზე. იგი ემყარება არა ადამიანის ბუნებას, არამედ თვით გონივრულად ცხოვრების კონცეფციას.

მაგრამ... ის, რომ ჯერჯერობით არ დამყარებულა კონტაქტი სხვაპლანეტელებთან, სულაც არ ამტკიცებს, თითქოს სიცოცხლე ჩაისახა და განვითარდა მხოლოდ დედამიწაზე.

თუ სიცოცხლეს სამყაროს სხვა პლანეტებზე მივიჩნევთ დედამიწაზე სიცოცხლის ევოლუციის მაგვარად, მაშინ სხვა პლანეტებზე მისი ჩასახვისა და განვითარების საწინდარი იქნება, ის:

1. რომ მისი ქიმიური საფუძველი შედგებოდეს მთელ სამყაროში ყველაზე უფრო გავრცელებული ქიმიური ელემენტების (წყალბადის, აზოტის, ნახშირბადის, მაგნიუმის, ჟანგბადის, გოგირდის, სილიციუმის) ატომებისგან;

2. რომ ამ პლანეტებზე არსებობდეს წყალი — სიცოცხლის წარმოქმნისათვის აუცილებელი პირობა (მიუხედავად იმისა, რომ წყალი სამყაროში ყველაზე გავრცელებული მოვლენაა, ძალიან ცოტაა პლანეტები, რომლებზეც იგი მოიპოვება).

3. რომ დედამიწაზე არსებული სიცოცხლის მსგავსი სიცოცხლე შეიძლება განსაზღვრული მასის პლანეტაზეც განვითარდეს. დიდი მასის პლანეტებზე ინტენსიური ბირთვული რეაქციებია, რაც ამაღლებს ტემპერატურას და ამიტომ ეს პლანეტები ვარსკვლავებივით კაშკაშებენ (ასეთები არიან მზის სისტემაში: იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეპტუნი). მცირე მასის პლანეტებს (მაგალითად, მზის სისტემაში — პლანეტა მერკური) მიზიდულობის ველი სუსტი აქვთ, მათ არ შეუძლიათ დიდხანს შეინარჩუნონ ატმოსფერო, რომელიც საჭიროა სიცოცხლის განვითარებისათვის. მზის სისტემის პლანეტებიდან მხოლოდ ვენერასა და მარსს აქვთ შესაფერი მასა, მაგრამ მათზე არ არის სიცოცხლის ჩასახვისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი სხვა პირობები. საბჭოთა ასტროფიზიკოსის ე. გ. ფესენკოვის აზრით, სამყაროს პლანეტების საერთო რაოდენობის მხოლოდ 1%-ს აქვს დედამიწის შესაფერი მასა.

ყოველივე ეს ეხება სხვა პლანეტებზე სიცოცხლისა და გონების ისეთ ევოლუციას, რომელიც ემსგავსება დედამიწაზე სიცოცხლის ევოლუციას; მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია მატერიის ისეთი ევოლუციაც, რომელსაც დედამიწისეული სიცოცხლისა და გონების ევოლუციასთან არაფერი ექნება საერთო.





საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ინსტინქტი თუ აზროვნება?

კარლო კობერიძე

(ფ ი ქ რ ე ბ ი)

კორესპონდენტი: — მაშასადამე, შეიძლება ვილაპარაკოთ ცხოველების გონიერ საქმიანობაზე?

აკად. ო. ადრიანოვი: — ელემენტარულ გონიერ, ფსიქიკურ საქმიანობაზე, აბსტრაქტული აზროვნების ჩანასახზე, მომავალი მოქმედების წინასწარ გააზრების უნარზე — უსათუოდ. სხვადასხვა ცხოველი ამას სხვადასხვანაირად აკეთებს.

არ მინდა წიგნებში ჩავიხედო და, ყველასათვის თუ არა, უმეტესობისათვის მაინც ცნობილი მაგალითები მოვიტანო ცხოველების, ფრინველების აზროვნებაზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე... მხოლოდ ორიოდე ისეთ მაგალითს გავიხსენებ, რომლის უშუალო მოწმეც ან მე ვყოფილვარ, ანდა ვინმე ჩემიანი თუ ჩემი ნაცნობი.

რამდენი წიგნი წაგვეკითხავს, რამდენი ფილმი გვინახავს ძაღლის გონიერებაზე! თუნდაც ის რად ღირს, ძაღლი რომ არაფრად აგდებს მაძღრისად ყოფნას, განებივრება-გაზულუქებას: რაც უნდა მდიდარმა ვინმემ წაიყვანოს, როგორც იტყვიან, ცივი ნიავიც რომ არ მიაკაროს, პირველ პატრონს არასოდეს გაწირავს ხოლმე, არასოდეს ტოვებს, არასოდეს ივიწყებს — არა ლალატობს, მისგან დაუმსახურებელ ცემასაც იტანს, შიმშილსაც. დიახაც რომ სამაგალითოა ამ მხრივ!

იმას ვამბობდი: რამდენი წიგნი წაგვეკითხავს, ფილმი გვინახავს ცხოველებისა და, კერძოდ, ძაღლის გონიერებაზე, მაგრამ მაინც ისეთი უჩვეულო ამბების მომსწრენი ვხდებით ხშირად, თავს ველარ ვიკავებთ და ჩვენც მოვყვებით ხოლმე, თუმცა, შეიძლება, ახალს არაფერს ვამბობდეთ ამით.

1

უკეთესი კურორტი არსად მეგულება და იმ ზაფხულსაც ჩემს სოფელში ვატარებდი ოჯახით. მეზობელს გაეგო, რომ ჩემი ახაშენელი ნათესავის ფინიას ლეკვები დაეყარა, და მთხოვა, იქნებ ერთი გაიმეტოს, რამენაირად გამოართვიო. ხვეწნა-მუდარა არ დამჭირვებია, სიხარულით გამომატანეს — ოთხი ლეკვი ჰყავდათ, რამდენჯერაც გადავუყარეთ თვალის ახელამდე, იმდენჯერ ხან ძუკნამ მოიყვანა, ხან ბავშვებმაო. ამ გადაყრამოყვანაში ლეკვები უკვე დაგემოვნებით მიირთმევდნენ პურს. ეს პატარა ლეკვი სულ ჩვენთან იყო. ჩემი შვილები ათამაშებდნენ. ერთ დილითაც ვილაცის თეთრი ძუკნა მოვიდა და ლოკვა დაუწყო ლეკვს. გავაგდეთ, მაგრამ რაღაც ორიოდე წუთის შემდეგ ისევ შემოვიდა ეზოში. ასე გაგრძელდა საღამომდე. საღამოთი, — ვისი მყეფარიაო, გავიკითხ-გამოვიკითხეთ უბანში. არავინ არაფერი იცოდა. მაშინ ვიფიქრეთ, გაშვებულიაო, შეგვეცოდა — ვაჭამეთ და წყალიც დავუდგით ნატეხით. ვინმე თავის დაბერებულ, გაწუწკებულ თუ, საერთოდ, გაუვარგისებულ ძაღლს მოსაკლავად რომ ვერ გაიმეტებს, მანქანაში ჩასვამს და შორს, რომელიმე სოფელში გაუშვებს ხოლმე. სოფლებში ასე მრავლდებიან უპატრონო, მაწანწალა ძაღლები· მოსაკლავად რომ ვერ იმეტებენ, კარგია, და თითქოს უნდა მივესალმოთ კიდევაც, თუმცა ამ სიკარგეს, როგორც ვხედავთ, თავისი ნაკლიც აქვს.

მთელი ოთხი დღე ჩვენი ეზოდან არ გასულა ძუკნა. ისეთი მორჩილი იყო, ისე მლიქვნელურად შემოგვციცინებდა თვალებში, მარტო ძაღლი კი არა, საკუთარი თავიც შეგძულდებოდა. ამ ოთხი დღის მანძილზე მისი ყეფა არ გაგვიგონია. მეზობლებმა და ნაცნობ-ნათესავებმა ყბად აგვიღეს, ძალიან შორს იხედებით, სადაცაა წვიმები დაიწყება და ფეხის ტილოდ გამოიყენებთ, ჩვრის ეკონომიააო. დღე იქით იყოს და ღამეც არ გაგვიგონია მისი ყეფა. ეგ კი არა, ერთხელ ვილაცის გაქსუებული კატა შემოვიდა ეზოში და იმასაც არ გაენთო, არც შეუღრინა, ისე გახედა, ვითომც აქ არაფერიაო. მაგრამ მომდევნო დღეს, ჯერ იყო და მეზობლის ლეკვი დაჯიჯგნა, მერე ჩვენს ნათესავ ქალს ეცა დასაგლეჯად — ძლივს მოვაცილეთ. ეს იყო და ეს — მთლად თვალებად იქცა, შიშით ველარავინ შემოდიოდა ეზოში. შარაზე გამვლელ-გამომვლელსაც ეტანებოდა და ღამეც ისეთი ფხიზელი იყო, თაგვის წრიპინი, გაფაჩუნება არ გამოეპარებოდა. სხვა გზა არ იყო და, მოვიშორეთ. მანამდე კი, აი, რა დავადგინეთ: ის ძუკნა ოთხი დღე მოუნდა იმის გარკვევას, ვინ ცხოვრობდა ჩვენს სახლში, მხოლოდ ამის შემდეგ აიშალა ბალანი, ამის შემდეგ დაეპატრონა ჩვენს ეზო-ყურეს.

2

გასულ წელს, აგვისტოს მიწურულს, ნადირობის სეზონის გახსნის წინა საღამოს, ჩემი სოფლისა და აქეთიქითა სოფლების ველ-მინდვრები, ნაყანევი და სიმინდები შემოიარეს ეგერებმა. თურმე ბევრს წასძლია სულმა და ნადირობის წესები დაარღვია. ამას ის მოჰყვა, რომ მონადირესაც ჩამოართვეს თოფი და იმათაც, ვისაც უფლება არ ჰქონდა თოფის შეძენა-ტარებისა. ერთისთვის თოფიც ჩამოერთმიათ და მეძებარიც. მეძებრის პატრონს გაეგო, ეგერებს რომ ვიცნობდი და, რაკი დიდი ხნის კეთილი სალამი გვქონდა ერთმანეთთან, იმ საღამოსვე მომაკითხა შინ, შემეხვეწა — თოფი ჯანდაბას, მეძებარი მაინც დამიბრუნონ, უბეში მყავს გაზრდილიო. ყველაფერს ვილონებ-მეთქი. მეორე დილით ვნახე ეგერები, დამპირდნენ, მეძებარს ერთ საათში მოვიყვანთო. მომიყვანეს. წმინდა სისხლის პოინტერი იყო, კარგად მოვლილი, ნაპატივები, იმ ასაკში ჩანდა, დაგეშვის დრო რომ დაუდგებათ ხოლმე. როგორც წმინდა სისხლის პოინტერმა იცის, არც მან მიუცხოვა — მანქანიდან რომ გამოიყვანეს, ისე მომელაქუცა, თითქოს პირველად არ მხედავდა. ისე უყურებდნენ ეგერები, სულო ცოდვილო, ხათრი თოფ'ამ, მგონი

ენანებოდათ დათმობა. ამ ასაკის მეძებარი ძალიან ცნობისმოყვარეა. ვიფიქრე, მოვიცდი და პატრონს გადავუყვან, საითმე არ გადავიდეს, თვალს არ მოეფაროს და საძებნი არ გამიხდეს-მეთქი — სარეცხის თოკს ერთ მეტრამდე წავაჭერი და კიბის საყრდენზე დავაბი. ეგერების წასვლა იყო და მეზობლის უჯიშო ლეკვი — ჯეკაც მოვიდა. დაინახა უცხო ძაღლი, ჯერ გაჩერდა, დიდი გულისყურით აათვალიერ-ჩაათვალიერა, მერე გაუბედავად მიუახლოვდა და დრუნჩი დრუნჩზე მიადო, რაც მათებურად გაცნობას ნიშნავს. ეტყობა, კარგად გაიცნეს ერთმანეთი, რაკი მაშინვე დაიწყეს თამაში. დაინახეს მეზობლის გოგო-ბიჭებმა, ეზოში შემოვიდნენ და სიხარულით აცმუკდნენ. პოინტერი მოკლედ იყო დაბმული და, ჯეკაზე შეხტომას რომ დააპირებდა, თოკი არ უშვებდა და მიწაზე ზღართანს მოადენდა ხოლმე. ჯეკამ უცებ თავი მიანება თამაშს, მივიდა, თოკი ყბებში მოიქცია და ღეჭვა დაუწყო. აშვება უნდაო, სიხარულით გადაირივნენ ბავშვები. პოინტერი იდგა და ცერად, მოლოდინით უყურებდა ჯეკას. მალე გაწყვიტა ჯეკამ თოკი, პოინტერმა ტანი შეიბერტყა და მერე მთელი ეზო აიკლეს თამაშით.

3

გასული საუკუნის მიწურულს ევროპაში გაიყვანეს კავკასიური ნაგაზი. უცხოელებისათვის კავკასიური ნაგაზის ზნე-ჩვეულებების გაცნობა, მისი აღნაგობა, შემგუებლობა, აზრიანობა, ერთგულება ნამდვილად აღმოჩენა იყო. შემდეგ მთელ მსოფლიოს მოედო ეს უჭკვიანესი ჯიშის მყეფარი. ამ ორიოდე წლის წინ მოსკოვიდან ჩამოსულმა საგანგებო ექსპედიციამ მთელი საქართველო მოიარა და მწარმოებელ ანუ შთამომავლობის მომცემ წმინდა სისხლის კავკასიურ ნაგაზს ვეღარსად მიაგნო; ამიტომ იძულებული გახდნენ ეს ჩვენი, ქართული ენდემი უცხოეთიდან შემოეყვანათ. არადა, მარტო ქალაქში კი არა, სოფლებშიც, მეცხვარეობის რაიონებშიც, სადაც აუცილებელია კავკასიური ნაგაზის ყოლა, მის გარდა რანაირ ძაღლს აღარ შეხვდებით: ჩვენი დაუდევრობით იმდენნაირი ჯიში „გამოვიყვანეთ" (თუმცა, უფრო უჯიშო მიესადაგება), არა მგონია, უდიდესმა სპეციალისტმაც კი გაარკვიოს მისი წარმომავლობა..

ზესტაფონის რაიონში, სოფელ ზედა წევაში, ჩვენს ახლობელს ჰყავდა კავკასიური ნაგაზი, ქურდია ერქვა. კავკასიური ნაგაზის კვალობაზე არც ქალებს ერჩოდა, არც ბავშვებს, ერთი შეხედვით საოცრად უწყინარი იყო, მაგრამ თავისი მოვალეობა ზუსტად იცოდა და მის, ასე ვთქვათ, ხელყოფას არავის აპატიებდა. ამ ჩვენი ახლობლის ერთი შვილი სოფელ ძირულაშია გათხოვილი. როცა უამინდობა იყო, ანდა ოჯახის უფროსები შვილის ოჯახის დასახედად ვერ მოიცლიდნენ, ქურდიას საყელურზე მიამაგრებდნენ ბარათს, ეტყოდნენ, ძირულაში წადიო, და ისიც მაშინვე მიდიოდა. მიდიოდა მოკლე გზით, ტყე-ტყე. ძირულაში რომ ჩავიდოდა, რაღა თქმა უნდა, აჭმევდნენ. მერე, ვიდრე ქაღალდს ანუ წერილს არ მიამაგრებდნენ საყელურზე, იქიდან ფეხს არ მოიცვლიდა — ერთხელ სცადეს და არაფერი გამოუვიდათ. საოცარი ის იყო — ჭამის გულისთვის არასოდეს ჩასულა ძირულაში. ამას იმიტომ ვამბობ, ვინმეს რომ არ ეგონოს, თითქოს ჭამა აიძულებდა ამხელა გზის ჩავლა-ამოვლას.

4

ჩემი ერთი გურჯაანელი ახლობელი კარგა ხანს ათრია, გატანჯა ბედმა თუ უბედობამ და შემდეგ, დამშვიდებული ცხოვრებისას, ისეთი გულჩვილი გახდა, ადამიანისა და, საერთოდ, სულიერისას ხომ თავისთავად, მცენარის გასაჭირსაც ვეღარ იტანდა. მართალია, ვეგეტარიანელი არ იყო, არც მორწმუნე, მაგრამ ქათმის დაკვლა რა არის და, რომ დაინახავდა ვინმე კლავდა ვიშვიშით იწერდა პირჯვარს, ღმერთო, შეუნდეო. საოცრად უყვარდა ძაღლები, ალბათ ძაღლებიც გრძნობდნენ ამას — რაც უნდა ავ მყეფართან მიეყვანათ, სანაძლეოზე თუ ცნობის წადილით, ის მყეფარი ან მოელაქუცებოდა, ანდა წკმუტუნით აეტორტებოდა ხოლმე. თვითონაც გამოულევად ჰყავდა ძაღლი, მაგრამ ვილაცის ნაჩუქარი ბოლო ძაღლი მაწანწალა, საბუდრის ჭირი გამოუვიდა და, ვერაფრით რომ ვერ მოარჯულა, თავის მეზობელთან შეჩერებულ, ახმეტიდან ჩამოვლილ შოფერს გაატანა, თბილისში შესვლისას გაუშვიო. იმ ხანებში როთველიც უნდა დაწყებულიყო და ერთ დილით, ვენახში რომ მიდიოდა მაზიდით, დაინახა — მის ჭიშკართან მისიკვდილებულ-მისავათებული კავკასიური ნაგაზი



შეხედეთ, რა ყურადღებით ისმენს ადამიანის ლაპარაკს გონიერი ცხოველი!

იწვა. რაღა ევენახებოდა, ეზოში შებრუნდა მაშინვე, ძაღლიც შეიყვანა, აჭამა, დაარწყულა, კარგად გასინჯა და ნახა, ორგან იყო ტყვიით დაჭრილი: კისერში და მარცხენა მხარში. ვეტექიმი მოიყვანა, უმკურნალა და ნელ-ნელა მოამჯობინა, მოაფერიანა, გაახალისა ძაღლი. რაკი სახელი არ იცოდა, ქედანა დაარქვა. გონიერი ძაღლი იყო ქედანა, მაგრამ დაბმას ვერ იტანდა, და კიდევ: სულ ცხენს დასდევდა ერთთავად, წუთით არ აშორებდა თვალს.

ამ ჩემს ახლობელს ზამთრის პირზე გოგონა გაუხდა ავად. იქაურმა ექიმებმა, ამისი მკურნალობა ჩვენს შესაძლებლობას აღემატებაო, თბილისში გაწერეს. თბილისელმა ექიმებმა, საავადმყოფოში წოლა ზედმეტიაო, წამლები დაუნიშნეს და ისიც უთხრეს, ხანდახან ორი-სამი დღით ჩამოგვიყვანეთო. თუმცა ორი-სამი დღით კი არა, ზოგჯერ მთელი კვირით იტოვებდნენ. ქედანა სადგურზე მიაცილებდა თბილისში წამსვლელებს და მატარებლის გასვლის შემდეგ ყურებჩამოყრილი ბრუნდებოდა, თავლასთან ან ცხენის შორიახლო მიწვებოდა, და იყო ასე გაყუჩებული თუ ძილად მიშვებული. ღამე კი, ღამე მთელ ეზოს უვლიდა. უმიზეზოდ არც ღრენა იცოდა, არც ყეფა. თბილისიდან მატარებლის ამოსვლამდე ერთი საათით ადრე სადგურისკენ რომ დაადებდა თავს, ეს იმას ნიშნავდა, რომ წასულები უნდა დაბრუნებულიყვნენ.

გურჯაანის სადგურზე ყველამ იცოდა ეს ამბავი და ძაღლსაც ყველა ეფერებოდა. ასეთი დახვედრა გაზაფხულამდე გაგრძელდა და ერთხელაც არ შემცდარა ქედანა. ამ შემთხვევაში მართლაც ინსტინქტთან, ალღოსთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამდენჯერ და ასე შეუცდომლად? მეცნიერები ალბათ ლათინურ ტერმინს მოიშველიებენ ამის ასახსნელად, მე კი ნამდვილად უძლური ვარ, რაიმე ახსნა მოვუძებნო.

გაზაფხულის მოლონიერებისას ამ ჩემი ახლობლის მესამეკლასელმა ბიჭმა მაგრად აურია სკოლაში და აკი გასილაქებაც არ ასცდა — გამეტებით სცემდა დედა. ქედანამ ბიჭის ღრიალზე ყური ცქვიტა, აწრიალდა. მერე ბიჭის დედას კაბის კალთაზე დაეკიდა და მთელი ძალით დასწია უკან. ქალმა არაფრად ჩააგდო, მაინც იწევდა შვილის საცემად. მაშინ კი ბიჭს ჩამოეფარა ქედანა და ისე შეუღრინა ქალს, ეჭვი არ იყო, დაგლეჯდა, კიდევ რომ მოექნია ხელი. ოჯახის უფროსი გაოცებული უყურებდა ამ ამბავს, მერე მივიდა ძაღლთან და თავზე ხელის გადასმა დაუპირა, მაგრამ ქედანამ მასაც უჩვენა კბილები. იმ ხანებში მხოლოდ ბავშვების მიწოდებულ საჭმელს ჭამდა. ძლივს შეირიგეს უფროსებმა.

ერთ წელიწადს ჰყავდათ ქედანა. წლის თავზე ვიღაც უცხო კაცი მოადგა მათ ჭიშკარს და მთელი ხმით იყვირა, ბასარაო. ქედანა კიბის ქვეშ წოლილა, და ძახილზე მაშინვე ქუჩაში გავარდნილა. სიხარულით ისე ატირებულა ის კაცი, ძლივს დაუწყნარებიათ. ძაღლსაც ცრემლი ჩამოსდიოდაო — მარწმუნებდნენ. მერე გაიგეს, ალვანელი თუში ყოფილა ის კაცი, თურმე ცხენი მოეპარათ და იმათ დადევნებია ბასარა, ტყვიითაც ალბათ მაშინ დაჭრეს. მთელი წელიწადია ვეძებო. ვინ მიასწავლა, ამათა ჰყავთო, არ უთქვამს; არც ჩასციებიან.

ჩემი ახლობელი ეხვეწებოდა თურმე, ცხენს გაძლევ მაგ ძაღლშიო.

ოღონდ ეგ არ გამაგონო, მე კიდევ ორ მეწველ ფურს მოგცემ და ათ ჭედილასაც დაგიმატებო.

ჩემი ბავშვები მაინც შეიცოდეო.

შენ ახლა ისიც იკითხე, ჩემი შვილები რაღა დღეში არიანო.

თურმე იმ ძველ პატრონს რომ მიჰყვებოდა ძაღლი, ზარე ათჯერ მიბრუნ-მობრუნებულა.

ჩემი ახლობლის ბავშვები სკოლაში ყოფილან მაშინ. ადვილი მისახვედრია, რამდენი ცრემლი დაიღვრებოდა, როცა გაიგებდნენ, ქედანა წაიყვანესო.

5

როგორც საერთოდ ყველა გარაჟში, გურჯაანის სამგზავრო მანქანების გარაჟშიც ჰყავთ ძაღლები, უფრო უპატრონო, რაღაც ზნითა თუ უზნეობით მოძულებული, სახლიდან მოშორებული უჯიშო ძაღლები. ასეთი ძაღლები, როგორც წესი, შოფრებისა და ყარაულების ხელის შემყურენი არიან; სამაგიეროდ, ღამღამობით ისე ერთგულად დარაჯობენ თავიანთ უკვე მონიშნულ სამფლობელოს, ნამდვილად ძნელია, უცხომ შეაღწიოს შიგნით. ერთმა ძუკნამ ლეკვები დაყარა. წამოიზარდნენ ლეკვები და ვიდრე, ასე ვთქვათ, მოვალეობის გრძნობა გაუღვივდებოდათ, ერთბაშად მოიძულა ძუკნამ — ახლოს აღარ იკარებდა. ლეკვები ჯერ წკმუტუნით დასდევდნენ, მაგრამ საკბენად რომ წაეტანა, სულ ჩამოშორდნენ. იმ ხუთი ლეკვიდან ოთხი შოფრებმა წაიყვანეს და რაკი მსურველი აღარავინ იყო, ის ერთი ლეკვი დარჩა გარაჟში. ამ ლეკვს ყველა უვლიდა, ეფერებოდა — ანებივრებდა. იმ გაგანია სიცხეს რომ დამალოდა, ლეკვი ხშირად მანქანების ჩრდილში იწვა, უფრო იმ მანქანის ჩრდილში, რომელსაც არემონტებდნენ. როგორც შოფრები მიყვებოდნენ, იმ დღეს ავტობუსის ძრავას რაღაც უმნიშვნელო ნაწილები შეუცვალეს (თუ შეიძლება ძრავას ასეთი ნაწილები ჰქონდეს). ვინაიდან ძრავას ნორმალურ მუშაობას ხმაზე სცნობენ, ისინიც ხშირად აამუშავებდნენ ხოლმე. მთელი ამ ხნის მანძილზე ლეკვი ავტობუსის წინ, ჩრდილში იწვა და მანქანის ხმაურზე ყური ისე ჰქონდა მიჩვეული, გვერდიც არ შეუნაცვლებია; იქვე ახლოს კი გარაჟის კედელთან, ბებერი ხვადი გაშხლართულიყო და ხან შოფრებს მისჩერებოდა, ხან — ლეკვს. ყველაფერი რიგზე კიაო, თქვეს შოფრებმა, მაგრამ მაინც აჯობებს, ორიოდე წრე დავარტყათ ეზოში, გულს უფრო დავიმშვიდებთო. ერთი შოფერი მიუჯდა საჭეს, ჩართო ძრავა და ის იყო უნდა დაძრულიყო, ხვადიც წამოხტა, მივარდა, პირი დასტაცა და ამ მოულოდნელობით შეშინებული, აწკმუტუნებული ლეკვი გარაჟის კედელთან მიარბენინა. იმ შოფრებმა მითხრეს, მაშინ ლეკვი აღარ გვახსოვდა, ისეთ ადგილას კი იწვა, ხვადს რომ არ ემარჯვა და არ გაერიდებინა, მისი საქმე ულაპარაკოდ წასული იყოო.

# მამაცი ბრიყვი



ჰ. ბალკე

მხატვარი ზაურ დეისაძე

მოთხრობა

ბადენი. 1849 წელი.

სადილობის დრო იყო. დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცები დაკორძილი მუხის ჩრდილში წამოწოლილიყვნენ. ზოგი თვლემდა, ზოგიც ჩაციებული ღვინის მოზრდილი ყლუპებით ისველებდა ყელს დიდმუცელა ბოთლიდან, რომელსაც მიკიტანი ჯარისკაცებს შორის დაატარებდა.

ჭრელ-ჭრელა მწერები ყურის წამღებად ზუზუნებდნენ. მზე ძალუმად აცხუნებდა სამიკიტნოს ყავრის სახურავზე.

სამიკიტნოდან მზარეული გოგო გამოვიდა. ფეტვის ფაფით სავსე ქვაბი გამოიტანა და ხის ქვეშ რომ ჩამოდგა, იქაურობას შემწვარი ხიწიწის მადისაღმძვრელი სუნი მოეფინა.

„გთხოვთ, ბატონო ჯარისკაცებო“, დაიძახა გოგომ და ჩამჩა ლითონზე აარაკუნა.

ერთბაშად, სოფლის შარაზე, მოახლოებული ცხენის ფლოქვების თქარუნი გაისმა. მოულოდნელობისაგან ყველა გახევდა. წამიც და მხედარი ქარივით მოიჭრა. მტვრისაგან ტანსაცმელზე ნაცრისფერი დასდებოდა. ალმურიან სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

„პრუსიელები ბიშვაიერს უტევენ!“, წამოიძახა მან და ღონივრად მოზიდა სადავე, „მეგობრებო, აჩქარდით, რაღას უდგეხართ!“

ჯარისკაცები ელვის სისწრაფით წამოცვივდნენ.

„ღორიშვილები, წყეულიმც იყვნენ!“ ილანძღებოდნენ ისინი და თავთავიანთ თოფებს ასაღებად ეტანებოდნენ.

„ბიშვაიერი მხოლოდ ორი საათის სავალზეა აქედან, დახე, როგორ შემოპარულან, ეშმაკმა დალახვროს“.

მესაყვირე საბრძოლველად უხმობდა ჯარისკაცებს. გაისმა ბრძანება: „ამხანაგებო, წინ! შეტევაზე!“ და ბადრაგმა სოფელი დატოვა.

ჯარისკაცების ჩექმებისა და წაღების ქვეშ თითქმის მტვრადქცეული მიწა ხრაშუნობდა.

არავინ იყო ჯარისკაცურ ცხოვრებას ჩვეული. სულ რაღაც ოთხიოდე კვირის წინათ ყველანი ჯერ კიდევ შინ იყვნენ, სოფელში საქონელს მწყემსავდნენ ან ფაბრიკებში საქსოვ დაზგებთან ტრიალებდნენ, უნივერსიტეტის აუდიტორიებსა თუ რედაქციებში ისხდნენ. ამ თაკარა მზეში მეტად ეძნელებოდათ სიარული. ხამუშ-ხამუშ თუ გაიღებდნენ ხმას. ხალათებზე ოფლის დიდ-დიდი ლაქები დასტყობოდათ. ამ მთაგორიან მხარეში სიცხისაგან შეხუთული ჰაერი თითქმის არ იძროდა.

ფრიდრიჰმა ხალათის ღილები შეიხსნა. მალიმალ აპარებდა თვალს გზისპირს ჩარიგებული მწიფე ალუბლის ხეებისკენ და გამშრალ ტუჩებზე ნერწყვი ადგებოდა. შორს, ვიდრე ცადაწვდენილ მთებამდე, მომცრო ბორცვებზე შეფენილი ხილნარი მოჩანდა. ქვემოთ, დაბლობში კი მდორედ მოედინებოდა მდინარის შავი წყალი.

ფრიდრიჰის გვერდით ჩალისფერთმიანი ყმაწვილი მოაბიჯებდა. მას იოჰანი ერქვა. დილით ადრე შემოუერთდა ფრიდრიჰის კოლონას. გუშინდელ ბრძოლაში თავის რაზმს ჩამოშორებოდა. ტლანქი ტყავის ჩექმებით მტკიცედ მიაბიჯებდა, ხელით კი ხმლის მოვერცხლილი ვადა ჩაებღუჯა. სიარულისას ხმალი ნაკუთალზე ედებოდა. თუ ნაბიჯი შეეშლებოდა, მაშინ მისი ხმალი ფრიდრიჰს ებლანდებოდა ფეხებში.

იოჰანი ამას ამჩნევდა და თავისთვის ეღიმებოდა.

„ოჰ, ეს დანა! რას იტყვი, ძმაო“, მიმართა მან ფრიდრიჰს და თითები ხმლის ვადაზე აათამაშა, „ეს ჩემი ნადავლია, გუშინ ერთ პრუსიელს ავხსენი. ერთი გენახა, რა უნუგეშოდ შეჰყურებდა. ადრე კი ცელი მქონდა...“, ბიჭმა ამოიხვნეშა: „ცელი ბალახის სათიბადაა კარგი, თორემ რევოლუციაში რა ბედენაა“.

ფრიდრიჰმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

„კი, მართალი ხარ, უხეირო საჭურველი გვაქვს, კაცმა რომ თქვას, ხარახურაა. ერთადერთი ზარბაზნით, მოძველებული საბრძოლო აღჭურვილობითა და თითო-ოროლა თოფით აბა რას გახდები, როცა პრუსიელებს ისეთი ტყვია-წამალი, ისეთი კარტეჩები და ხელყუმბარები აქვთ...“

„რა მოხდა მერე“, მანუგეშებელი კილოთი მიმართა ბიჭმა, „სამაგიეროდ ჩვენ შეუპოვრები ვართ, შავ დღეს დავაყრით. მობრძანდნენ ერთი ეს პრუსიელები!“ — და მუქარით შეკრული მჯილი მთებს მოუღერა.

„მარტო გამბედაობა რას შველის“, გაიფიქრა ფრიდრიჰმა, „ვშიშობ, რომ დაგვამარცხებენ, საჭურველითაც გვჯაბნიან და რიცხობრივადაც“.

ჩალისფერთმიანი ბიჭი ფრიდრიჰს მიუახლოვდა და მის თოფს დააცქერდა. მერე სახემოღრუბლულმა ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა: „შენ. მეგობარო, მგონი, სროლისა არაფერი გაგეგება“.

ფრიდრიჰს გაეცინა.

„აი, ხომ გითხარი“, გამარჯვებულის იერით დასძინა იოჰანმა, „უფრო უპრიანი არ იქნება საჭურველი გაგვეცვალა? ეგ თოფი მე მომე, შენ კი ამ ჩემ ძვირფას ხმალს გადმოგილოცავ“.

„არაფერი გამოგივა, ამ პრუსიელებთან ომში სროლაც ვისწავლე, რას იზამ. რევოლუცია უამისოდ არ იქნება. აი, ნახავ, ამჯერად შენც თუ არ მოიხელთო თოფი“, ანუგეშა ფრიდრიჰმა.

„ვნახოთ“, იოჰანმა ამოიხვნეშა, ოფლიან შუბლზე ცხვირსახოცი მოისვა და მზერა ხილნარიდან შვარცის ტყის ჩამუქებულ ფერდობებზე გადაიტანა.

„წელს ბლომად იქნება თივა, შეხე, რამხელა ბალახია“.

ქუჩის მტვერში უხმაუროდ მიაფრატუნებდნენ მოლაშქრენი თავიანთ ჩექმებსა და წაღებს, მათ თავს ზემოთ კი კოლოები გულისგამაწვრილებლად წუოდნენ.

როტენფელზამდე ნახევარი საათის სავალი იყო დარჩენილი, რომ მოულოდნელად პრუსიელებს გადააწყდნენ. ისინი ჩასაფრებულიყვნენ და მოახლოებულ ჯარისკაცებს ტყვია დაუშინეს. რევოლუციონერები ხილნარში შეცვივდნენ და ხეების ძირას მაღალ ბალახებში ჩაწვნენ. გზაზე, მტვერში ვიღაცის ქუდი გაგორდა. ორივე მხარემ ძლიერი ცეცხლი გახსნა. ტყვიები უმოწყალოდ კაწრავდნენ ხეებს.

ფრიდრიჰმაც თოფი მოიმარჯვა. ჯერ მშვიდად დაუმიზნებდა, მერე კი სასხლეტს გამოჰკრავდა. თოფის ხელმეორედ დატენისას სიხარულს ვერ მალავდა.

კარგად გამაგრდნენ. ტყვია-წამალიც ჯერ საკმაოდ ჰქონდათ. „ეშმაკმა დალახვროს მაგათი თავი, ნახონ, რა დღეს დავაყრით“, ფიქრობდა ის.

უეცრად ჩუმი ქვითინი მოესმა. თოფი დაუშვა და მიიხედა. იოჰანი იყო. მაღალ ბალახში ჩამჯდარიყო, ხმალი მკერდზე მიებჯინა და ოხრავდა. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

„დაჭრილი ხარ, ბიჭო?“

პასუხის ნაცვლად იოჰანმა ქვითინს უმატა.

„გეშინია, იოჰან?“. ფრიდრიჰი ჩაფიქრდა. რამდენი წლისა იქნება, თექვსმეტის? იქნებ სულაც თხუთმეტის. „გეშინია, ბიჭო?“

ამჯერად იოჰანმა ბრაზისაგან კოპები შეკრა.

„თოფი მინდა, ნამდვილი თოფი“, აღრიალდა ის, „რაში მარგია ეს ხმალი, ესეც იმ ცელივით ნაგავია“.

„კარგი, დამშვიდდი, სიტყვას გაძლევ, ამ საღამოს თოფი ხელთ გექნება, ნუ ტირი მხოლოდ, დიდო ბავშვო“.

ბიჭმა ცხვირი მოიხოცა.

ფრიდრიჰმა პრუსიელებს გახედა, იქიდან დაჭრილის ყვირილი გაისმა. „მამაცი მებრძოლები გვყავს“, გაიფიქრა ფრიდრიჰმა, „ასეთ ბიჭებთან რისი უნდა გეშინოდეს...“

ცოტაც და, რას ხედავს: ტრიალ მინდორზე თავქუდმოგლეჯილი გარბის იოჰანი, გეზი პირდაპირ პრუსიელთა რაზმისკენ აუღია.

„შეჩერდი!“ მიაძახა ფრიდრიჰმა. შეიშალა თუ რა მოსდის, გაიფიქრა და ისევ გასძახა: „შეჩერდი-მეთქი!“

იოჰანს არაფერი ესმოდა. იგი ხმლის ქნევით მიიჭრა მახლობელ მაყვლის ბუჩქთან და მიწაზე დაემხო, მერე უკან მოიხედა და ფრიდრიჰს გაუღიმა: „თოფი უნდა დავითრიო“.

ფრიდრიჰს წამით ენა ჩაუვარდა. მაყვლის ბუჩქთან მიწას მტრის ტყვიები ცხრილავდა. „მოკლავენ მაგ უბედურს, ამ მამაც ბრიყვს, ცოცხალი ვერ გამოაღწევს უკან“, გაიფიქრა მან.

„უკან, უკან-მეთქი!“ უბრძანა ფრიდრიჰმა. იოჰანმა ჯიუტად გაიქნია თავი: „ეგლა მაკლია, ერთ ღორ პრუსიელს შუაზე გავგლეჯ და თოფსაც მოვიხელთებ“.

მან ბუჩქიდან გამოიჭყიტა და თვალით გაზომა მანძილი, რომელიც მოწინააღმდეგეს აშორებდა.

„უკან! გიბრძანებ!“, დაუყვირა ფრიდრიჰმა, ხმა სიბრაზისაგან უთრთოდა.

„შენ რა უნდა მიბრძანო“, გამოსძახა იოჰანმა, ხმალი უფრო ძლიერ ჩაბღუჯა და გასაქცევად დაიხარა. მაგრამ ფრიდრიჰმა დაასწრო, თვალის დახამხამებაში წამოხტა, დიდი ნაბიჯებით გადაჭრა მინდორი, ბიჭს მკლავზე წაეტანა და მიწაზე დასცა.

„ეს სიბრიყვეა და არა მამაცობა“, დაუყვირა მან და ბიჭი მაგრად შეანჯღრია. „ვის რაღაში არგიხარ, თუკი მოკვდები?!“

„მაშ მე ლაჩარი ვყოფილვარ“, ამოიგმინა იოჰანმა და ხმალი გაიქნია.

„მშიშარა გგონივარ, არა?“, იგი ფრიდრიჰის მოცილებას შეეცადა. „გეტყობა, თავადა ხარ ლაჩარი, შენ მიშლი პრუსიელები დავხოცო“.

„ხმა გაკმინდე! აბა, უკან გავცოცდეთ“.

„გავცოცდეთ?, ბიჭმა შუბლზე იტკიცა ხელი, „ამ პრუსიელების შიშით ჭიასავით ლაფში ვიხოხო, არა? არასოდეს!“

მათ თავს ზემოთ ტყვიამ ბუჩქს ტოტები დააყრევინა.

ფრიდრიჰმა გზას გახედა და ელდა ეცა: იქ მტრის მძლავრი კოლონა მოიწევდა.

„მარდად“, გამოსცრა მან.

იოჰანი დაემორჩილა. ეს უცნობი ჯარისკაცი მაჯაზე ისე ჩაფრენოდა, ბრაზისაგან ანთებული თაფლისფერი თვალებით ისე მტკიცედ შეჰყურებდა, რომ ბიჭი მიხვდა, წინააღმდეგობას აზრი არა ჰქონდა.

ისინი უკან გაცოცდნენ. თანამებრძოლები კანტიკუნტად შემორჩენილიყვნენ ხილნარში. ქვემოთ, შარაზე პრუსიელები მოიწევდნენ. ისინი წუთი-წუთზე ახლოვდებოდნენ.

ფრიდრიჰმა ისევ ჩაიმუხლა ერთი ხის უკან, თოფი დატენა, დაუმიზნა და ესროლა. სველი პერანგი ტანზე ეწებებოდა. ბიჭიც მხედველობიდან დაკარგა.

გვიან, ნაშუადღევს რევოლუციონერები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

ზეგანი გადაიარეს და თავი მაღალ მთებს შეაფარეს. მზე ჩასული იყო, როცა ისინი, ბრძოლის ველს

გვარიანად მოცილებულნი, მდელოზე დაწალიკებულნი, ნელა მიაბიჯებდნენ. მთის ნაკადულს რომ მიადგნენ, ცოტა შეყოვდნენ, რომ სული მოეთქვათ. მოწყურებულები ხარბად დაეწაფნენ ცივსა და ანკარა წყალს.

„ამხანაგებო, მაღლა მთის კიდესთან სხვა ბატალიონს შევუერთდებით", წარმოთქვა ფრიდრიჰმა და ჩალისფერთმიან ხმლოსანს შეავლო თვალი.

იოჰანი ჯიუტად უმზერდა.

„შე ჭიაყელა!" შეუბღვირა მერე.

ჯარისკაცებმა გაოცებისაგან თვალები დააჭყიტეს.

„ჭიაყელა... მარქსი როგორ იცინებს, როცა მოვუყვები, რომ ესეც კი მაკადრეს", გაიფიქრა გამხიარულებულმა ფრიდრიჰმა.

„არასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს, რომ პრუსიელების შიშით დავხოხავდი", ჩაიდუდუნა ბიჭმა ყრუდ. „როგორი თავის მოჭრაა. ჩვენებმა რომ შეიტყონ, შინ არ შემიშვებენ",— თქვა მან და ფრიდრიჰს მუშტი მოუღერა.

„ლაჩარო, შენ შემაშინე, შენ დამემუქრე, ბრძოლა დამიშალე, დაიცა თუ არ დავაბეზღო, დამაცა!"

„ჰო, ჰო, ჰო", ხორხოცობდნენ ჯარისკაცები და ერთმანეთს თვალს უკრავდნენ.

„მაშ, შენ ჩვენი მეთაური გინდა დააბეზღო, არა? მიდი, მიდი, დააბეზღე".

დიახაც. ყველაფერს ფრიდრიჰ ენგელსს მოვახსენებ, ის არ მოითმენს, რომ რევოლუციონერები ჭიებივით დაცოცავდნენ".

„გესმით, ხალხნო", თავს ვერ იმაგრებდნენ სიცილისაგან ჯარისკაცები, „ენგელსთან უნდა დააბეზღოს".

„დიახაც, დავაბეზღებ", წამოიძახა გაცოფებულმა იოჰანმა და მიწას ფეხი დაჰკრა. ჯარისკაცები სიცილისაგან ჩაბჟირდნენ. ზოგ წვეროსანს ცრემლებიც კი წამოსცვივდა.

„რა მოგივიდათ?" ცოტა არ იყოს, დაიბნა ბიჭი, „რა გაცინებთ, ხომ არ შეიშალეთ?"

ფრიდრიჰი თავადაც იცინოდა, მერე მეგობრულად დაადო აღელვებულ ბიჭს მხარზე ხელი და აღუთქვა: „დღეს თოფს აუცილებლად მიიღებ და მრავალჯერ მოგეცემა შესაძლებლობა დაამტკიცო შენი ვაჟკაცობა".

მერე კი ბრძანება გასცა, გზა განეგრძოთ.

●

რევოლუციური არმია დამარცხდა. ისევ ბატონობდნენ ფიურსტები (თავადები). გერმანიაში ათასობით რევოლუციონერი იძულებული შეიქმნა საზღვარგარეთ გაქცეულიყო. ფრიდრიჰ ენგელსმა და მარქსის ოჯახმა ლონდონს შეაფარეს თავი. გახიზნულები დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. ნახევრად მშიერნი, მუშებივით დაგვარად, ერთმანეთს ხელს უმართავდნენ.

მუშებს ჯერ უნდა ესწავლათ, როგორ შეიძლებოდა რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინება. ამიტომაც შეისწავლეს მარქსმა და ენგელსმა რევოლუცია მეცნიერულად.

გერმანულიდან თარგმნა
დარეჯან გოგალეიშვილმა





ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი
№ 3

## ჩვენი თანადგომა გამოვხატეთ

ამ წერილს თეთრი წყაროს რაიონიდან გწერთ, სოფელ სალრაშენიდან. ჩვენთან ტრადიციაა, მოსწავლეები ყოველ წელს ვეხმარებით უფროსებს მოსავლის აღება-დაბინავებაში. ამ შემოდგომაზეც ვიყოჩაღეთ. ნათეს ფართობებზე ადრიანად გავდიოდით, მერე ყურძენს ვკრეფდით, ვამტვრევდით სიმინდს, ვიღებდით ლობიოს... ძალიან მეგობრულად და ერთსულოვნად ვიშრომეთ, ერთმანეთით კმაყოფილები დავრჩით, იმდენად, რომ არც ერთს სამუშაო დღის გაცდენის სურვილიც არ გაგვჩენია. თანაც, რომ შეგვაქეს, საქმესაც გავუთამამდით, სულ ფართობებზე გასვლა გვეშურებოდა. შრომაში საუკეთესოები გამოგვერჩნენ, მეცხრეკლასელები: დიანა ჯაშიაშვილი, თამრიკო აბულაძე, მზია ჯაშიაშვილი, მაია დალაქიშვილი, დალი ბერიძე...

როგორც კი სამუშაოს მოვრჩით და ჯერი ფულადი ანაზღაურების აღებაზე მიგვიდგა, ერთსულოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ — მთელი ჩვენი გამომუშავების ნახევარი გადაგვერიცხა ჩერნობილელთა დახმარების ფონდში. ასეც გავაკეთეთ და ვფიქრობთ, ცუდად არ მოვიქეცით. მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა უბედურება გულთან მივიტანეთ და ჩვენი თანადგომა, როგორც შევძელით, ისე გამოვხატეთ.

**თეთრი წყარო, სალრაშენის საშუალო სკოლის მოსწავლეები**

იოლან ჭორდაი

## ობოლი ლეკვი

სასტიკად ცივი ზამთარი იდგა. ჩიტები სიცივისაგან ლამის ხეებიდან ჩამოცვენილიყვნენ. არ იცოდნენ, სად დამალვოდნენ ზამთრის სუსხს. ლურჯ ცაზე ვარსკვლავები ბრწყინავდნენ. მთვარე ყვითლად კაშკაშებდა. გარშემო კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო. სადღაც შუაღამის ზარი ჩამორეკეს. ქარიც დასაძინებლად მოემზადა. მაგრამ ეს რა არის?.. ვისი ჩრდილი მოძრაობს თოვლში? ვინ დაეხეტება ასეთ დროს?! ვის ჰყოფნის საიმისო გამბედაობა, რომ თბილი ოთახი მიატოვოს და თავი სუსხს მიანდოს?!

კაცი კი არა, უპატრონო ლეკვია, ერთი საწყალი, ობოლი ლეკვი. დაეხეტება, გულდარდიანი, მშიერი და ვინ იცის, თავში რა ნაღვლიანი ფიქრები უტრიალებს, თან სიცივისაგან თრთის. რა ბედი ელის მას? თავშესაფარი თუ ვერ იპოვნა, გაიყინება, საჭმელი თუ ვერ იშოვნა, შიმშილით მოკვდება. მას ხომ აღარ ახსოვს, უკანასკნელად როდის ჭამა.

ერთი წუთით შედგა. არემარეს თვალი მოავლო: იქნებ სადმე შუქი დავინახოო, მაგრამ ამაოდ, იმედის ნაპერწკალი არსად ჩანდა. მხოლოდ გულგრილი ვარსკვლავები ციმციმებდნენ ცაში... როდემდე ეყოფა ძალა? — სადამდეც ეყოფა, იქამდე ივლის... — რა საშინელებაა მარტო, უპატრონოდ ხეტიალი! უიმედოდ განაგრძო გზა...

უეცრად შედგა: ეს ხომ კვამლის მწარე სუნია — ესე იგი, სადღაც ახლოს ცეცხლი იქნება! — გაუელვა თავში, — ადამიანი იქნება, სითბო იქნება. — უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მახლობელი სახლისკენ გაიქცა. კარებთან რომ მივიდა, მიაყურადა და ადამიანის ხმა მოესმა:

— ვინ დაეხეტება ამ შუაღამისას?

სახლში შუქი აინთო და კარი გაიღო. კარებში კაცი გამოჩნდა. კაცი, რომელმაც დაუძახა, რომელმაც საჭმელი მისცა, შეიწყალა, გაათბო, სიცოცხლე აჩუქა...

ასე დაიწყო კაცისა და ძაღლის მეგობრობა.

უნგრულიდან თარგმნა
**ლევან შავიშვილმა.**

თბილისი, მე-60 საშუალო სკოლა, VII კლასი.



„ნ ა დ ი რ ო ბ ა“ ალეკო პაკალაშვილი, 13 წლის

## ჩემი ქალაქი

ჩემი სამშობლოს ყველა ქალაქი თავისებურად მომწონს და მიყვარს, მაგრამ ჭიათურა — ყველაზე მეტად. ლამაზია ჩემი მშობლიური ქალაქი. შუაში მდინარე ყვირილა ჩამოუდის, იგი ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს, განსაკუთრებულია იგი ზამთარში — დათოვლილი ფერდობები, მაღალჭებირებიანი ხიდები, საბაგირო გზებით დაქსელილი ქალაქის ცა...

ჩვენს ქალაქს შავი ოქროს ქალაქსაც ეძახიან, ეს მარგანეცის საწარმოების გამო, ჭიათურის მანგანუმის წარმოება ხომ მთელს ჩვენს ქვეყანაში არის განთქმული. ამიტომაც ითვლება მაღაროში მუშაობა ჩვენში ყველაზე საპატიო საქმედ, აქ ყოველი მეორე ოჯახი მაღაროელის ოჯახია, მათ ყველა გამორჩეულ პატივს სცემს.

ასეთია ჩემი ჭიათურა — ჩემი ქალაქი. სიმშვენიერით მას შეიძლება ბევრი სჯობდეს, მაგრამ მე ის მაინც მთელს ქვეყანას მირჩევნია და ყველაზე საოცნებოდ მეჩვენება.

მაკა გველესიანი,
ჭიათურა, მე-7 საშუალო
სკოლა, VII კლასი.

### ქარი

**გაიღო კარი,**
**მომესმა უცებ შრიალი ქარის,**
**ატყდა ფოთლების ალიაქოთი.**
**იღება კარი,**
**შრიალებს ქარი...**
**და აყლაყუდა ხეები ამ დროს**
**ემსგავსებიან უცნაურ წამწზომს.**

ეკა ჯაფარიძე,
თბილისი, 155-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

### თოვს...

**რა ლამაზად ბარდნის,**
**რა ლამაზად თოვს!**
**თოვლი მიწაზე ეშვება**
**და თეთრ საბანს ქსოვს.**
**აღარ ისმის ჩიტუნების**
**მხიარული ხმა,**
**დათოვლილა მინდორ-ველი,**
**მდელო, ყანა, მთა,**
**თეთრი ქურქი წამოუსხამს**
**ხეთა ლამაზ ჯარს,**
**ახალი წლის ლურჯი ღამე**
**მოგვადგომია კარს.**

ნანა ტერმაკოზაშვილი,
გორი, ხელთუბნის საშუალო
სკოლა, VI კლასი.

### მზე და მამალი

**მზემ გადმოსძახა მამალსა:**
**ნეტავ რას ყივი დილასო?**
**ან უთენია რად დგები,**
**მე რომ ჯერ კიდევ მძინავსო?**
**— რას მერჩი, მზეო? — მამალმა**
**ასძახა მზეს, ცის ხალსაო, —**
**მე დილ-დილობით ვაღვიძებ**
**მშრომელ და გამრჯე ხალხსაო!**

### რთველი

**ყურძენი დამწიფებულა,**
**სოფელში უკვე რთველია,**
**სუყველა ზვარში ტრიალებს,**
**აბა, დელია, დელია!**
**მტევანი ღვივის ოქროსფრად,**
**ნახე, რა ჭემრიელია!**
**მისმა სურნელმა დაგვათრო,**
**აბა, დელია, დელია!**

### საქართველო

**რას ჭიკჭიკებს ჩიტუნია?**
**რას ჩურჩულებს ქარი?**
**— ეს ლამაზი მინდორ-ველი**
**საქართველო არის!**
**რას წკრიალებს მინდორ-მინდორ**
**ენძელების ზარი?**
**— ეს ლამაზი ყვავილებიც**
**საქართველო არის!**

ნათია ახვლედიანი,
თბილისი, 175-ე საშუალო
სკოლა, IV კლასი.

### სინანული

**მიჰქრიან დღენი**
**და ბავშვობა**
**სადღაც შორს რჩება,**
**მე კი ხანდახან...**
**სასტუნელა მომენატრება.**

ინგა მელითაური,
წითელწყარო, ზემო ქედის
რვაწლიანი სკოლა, VIII კლასი.

## უცხოური იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### წვრთნა

ის იყო ნადირობიდან დაბრუნებული ჯონი თავის კარავს მიუახლოვდა, რომ ოცდაათიოდე ნაბიჯის დაშორებით შენიშნა ლომი, რომელიც ნახტომისათვის ემზადებოდა. მონადირემ მაშინვე ესროლა თოფი, მაგრამ ააცდინა. მას თავი უკვე განწირულად მიაჩნდა, მაგრამ მოხდა საოცრება, ლომმა ნახტომი ვერ მოზომა და მსხვერპლს თავს ზემოთ კარგა მაღლა გადაევლო. მონადირემ შემთხვევით ისარგებლა და თავს უშველა.

მეორე დღეს ჯონი ეზოში ზუსტად სროლაში ვარჯიშობდა. უცებ ბრდღვინვა შემოესმა. გადაიხედა ღობის იქით და დაინახა ლომი, რომელიც ზუსტად ხტომაში ვარჯიშობდა.

### საპატიო მიზეზი

მასწავლებელი: საშინაო დავალება რატომ არ შეასრულე გიზელა?

გიზელა: გუშინ ბებიამ სათვალე დაკარგა.

### კარნახი

— ჩვენ ახლა კარნახს დავწერთ და ვინც სამ შეცდომაზე მეტს დაუშვებს, ორიანს მიიღებს. — თქვა მასწავლებელმა.

ყველა წერას შეუდგა. ცოტა ხნის მერე პაულმა კალმისტარი მერხზე დადო და ფანჯარაში ყურება დაიწყო.

— რატომ მიატოვე წერა, პაულ? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— მე უკვე ოთხი შეცდომა დავუშვი.

### აღიარება

პიონერხელმძღვანელი: ფრიც, შენ ყოველთვის კარგი იდეები მოგდის ხოლმე თავში. მოიფიქრე რამე საინტერესო ჩვენი მორიგი ღონისძიებისათვის.

ფრიცი: არ შემიძლია, გუშინ მამაჩემი ბერლინში გაემგზავრა.

### ორი კითხვა

— ყმაწვილებო, ახლა მე თქვენ ორ ძნელ კითხვას დაგისვამთ. ვინც პირველს უპასუხებს, მეორე კითხვიდან თავისუფალი იქნება და ჯილდოდ ამ შოკოლადის ფილას მიიღებს, — თქვა პაპამ და ჯილდო მაგიდაზე დადო. — მაშ მისმინეთ: მთელ ქალაქში რამდენმა მოსწავლემ მიიღო ქების სიგელი კარგი სწავლისა და ყოფაქცევისათვის?

— ცხრა ათას ექვსას ორმოცდაშვიდმა, — წამოიძახა უცებ მონიკამ.

— საიდან იცი? — ჰკითხა კვლავ პაპამ.

— ეგ უკვე მეორე კითხვაა, — მიუგო გოგონამ და შოკოლადის ფილას ხელი დაავლო.

თარგმნა შ. შოთაძემ



# შეისწავლეთ საგზაო ანბანი



განყოფილებას უძღვება საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახავტოინსპექციის სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

წაიკითხე ეს წერილები და შეიტყობ, როგორაა მოწყობილი ჩვენი ქუჩები, როგორ „ლაპარაკობენ ისინი, რას წარმოადგენს ქუჩის „ანბანი", როგორ უნდა მოიქცე ქალაქგარეთ და, რაც მთავარია, — რა უნდა გახსოვდეს, რათა ქუჩაში ხიფათი აირიდო.

●

უამრავი ავტობუსი და ტროლეიბუსი, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა მოძრაობს დღეს ქალაქის ქუჩებში თუ გზატკეცილებზე. თუ დაუკვირდები, შეამჩნევ, რომ ტრანსპორტის ერთი შეხედვით ქაოსური მოძრაობა სინამდვილეში მოწესრიგებულია. ავტომობილები დიდი სიჩქარით მიჰქრიან ერთმანეთის საპირისპიროდ, მაგრამ ერთმანეთს არ ეჯახებიან, მანქანები და ადამიანები მშვიდობიანად თანაარსებობენ — ხან ავტომანქანები უთმობენ გზას ქვეითებს და ისინიც ქუჩის მეორე მხარეს გადადიან, ხან კი — პირიქით. და ასე იმიტომ ხდება, რომ ქუჩაში ყველა ემორჩილება მკაცრ კანონს, რომელსაც „გზებზე მოძრაობის წესები" ჰქვია.

სამწუხაროდ, გოგო-ბიჭების ნაწილი არაფრად აგდებს წესებს. ახეთი ყმაწვილები, სადაც მოეხახიათებათ, იქ გადაირბენენ ქუჩას. მანქანებით გაჭედილ ქუჩებში ველოსიპედით დაჰქრიან ტრანსპორტის სავალ ნაწილზე თამაშობენ და წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რა მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ თავქარიანობას, რა საფრთხეში ·გდებენ თავიანთსა და სხვა ადამიანების სიც ·ახლეს.

არადა, ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ ქუჩა ძალზე საშიშია იმათთვის, ვინც სწორი სიარული არ იცის. ხოლო, ვინც კარგად იცის გზებზე მოძრაობის წესები და ზუსტად იცავს მათ, იმისთვის ყველაზე სწრაფი მანქანებიც კი არ არის საშიში. საჭირო მომენტში მანქანები ჩერდებიან და საშუალებას აძლევენ ფეხით მოსიარულეებს, მშვიდად გადავიდნენ ქუჩის მეორე მხარეს. ვინ უბრძანებს მათ? წარმოიდგინეთ, თვითონ ქუჩა. თურმე ქუჩას შეუძლია „ელაპარაკოს" ავტომანქანისა და ტრამვაის მძღოლებს, ველოსიპედისტებსა და ფეხით მოსიარულეებს. საჭიროა მხოლოდ იმ ენის კარგად ცოდნა, რომელზედაც ქუჩა „ლაპარაკობს". ეს ენა კი თანდათანობით იქმნებოდა ისევ და ისევ „გზებზე მოძრაობის წესების" საშუალებით.

თვითონ წესები თითქმის ასი წლის წინათ გაჩნდა პირველი ავტომანქანების შექმნასთან ერთად. ის წესები, რა თქმა უნდა, დღევანდელებს არ ჰგავდა, მაგრამ მათი ცოდნა მაშინაც აუცილებელი იყო. მაგალითად, ინგლისში პირველი ავტომობილების გამოჩენისას გამოიცა სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყოველი მექანიკური ეკიპაჟის წინ აუცილებლად უნდა ერბინა კაცს წითელი დროშით ხელში და გაეფრთხილებინა გამვლელები მის უკან მოძრავი მანქანის მოახლოების შესახებ. ეს კანონი მხოლოდ 1897 წელს გაუქმდა.

ახლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, როგორ შეიძლება ყველა ავტომანქანის წინ კაცმა ირბინოს და შემხვედრებს საფრთხის ნიშანი აძლიოს. ყველაზე ძლიერი მორბენალიც კი ვერ შეძლებს ამას. იმ დროისათვის კი ხალხის გაფრთხილების სხვა საშუალება არ არსებობდა, თუმცა ავტომანქანების სიჩქარეც გაცილებით ნაკლები იყო.

როდესაც პეტერბურგსა და მოსკოვში პირველი ავტომობილები გამოჩნდა, მათ მფლობელებს ნება მიეცათ ემოძრავათ ქალაქში არა უმეტეს თორმეტი კილომეტრის სიჩქარით. მხოლოდ 1907 წელს გაიზარდა სიჩქარე ოც კილომეტრამდე.

ტექნიკა განვითარდა, გაუმჯობესდა ავტომანქანები, გაიზარდა მათი რაოდენობა, გაიზარდა ქალაქებიც და, შესაბამისად, გართულდა მოძრაობაც.

ახლა დიდი ქალაქის ქუჩებში ავტომანქანების რიცხვმა ლამის გადააჭარბა ფეხით მოსიარულეთა რიცხვს, მათი სიჩქარე კი თითქმის სამჯერ მეტია ადრინდელზე, მაგრამ ისინი მხოლოდ იმათთვისაა საშიში, ვინც არ იცის საგზაო მოძრაობის წესები ან არ სურს მათი დაცვა. სწორედ ამაზე გვინდა გესაუბროთ. გვინდა შეგახსენოთ, რომ ვინც ეს წესები იცის, ადვილად აიცილებს თავიდან ხიფათს, რომლითაც სავსეა

## გზები და ქუჩები

შეიძლება შენც გინახავს ტელევიზორის თუ კინოთეატრის ეკრანზე ძველი კადრები, სადაც ტალახში ჩაფლულ ავტომანქანას შარვალაკაპიწებული რამდენიმე კაცი აწვება და ცდილობს ამოიყვანოს. ზოგჯერ ცხენებიც, ის კი არა, ტრაქტორიც კი მოჰყავთ დასახმარებლად. ჩვენს დროში ასეთ სიტუაციას შორეულ სოფლებშიც კი იშვიათად შეხვდებით. იმიტომ, რომ ყველგან არის გაყვანილი კეთილმოწყობილი გზები. ასე რომ არ იყოს, თანამედროვე ავტომობილები ვერ გადაზიდავდნენ მილიონობით ტონა ტვირთს, ვერ გადაიყვანდნენ ერთი ქალაქიდან მეორემდე მგზავრებს.

არსებობს სხვადასხვანაირი გზები.

ყველაზე ფართო და სრიალა ასფალტით დაფარულ გზებს ჩქაროსნულ ავტოტრასებს ან ავტომაგისტრალებს ეძახიან. ავტომაგისტრალები აერთებენ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს, დიდ ქალაქებს, მნიშვნელოვან სამრეწველო რაიონებს. ასეთ გზებზე ავტომანქანებს შეუძლიათ იმოძრაონ რამდენიმე რიგად და დიდი სიჩქარით.

ზოგიერთი მაგისტრალი ისე ფართოა, რომ შუაში გაზონების ან ნარგავების ზოლიც კი აქვს გამყოფად. ამ ზოლის ცალ



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეს ერთი მიმართულებით მოძრაობენ მანქანები, მეორე მხარეს — საპირისპირო მიმართულებით. გამყოფ ზოლზე დარგული ბუჩქები არა მარტო ჰყოფს მოძრაობის მიმართულებებს, არამედ ღამღამობით აკავებს ავტომანქანების ფარების ძლიერ სინათლეს და შემხვედრი ავტომანქანების მძღოლები ერთმანეთს აღარ აბრმავებენ. ასეთ ავტოტრასებს ჩქაროსნულს იმიტომ ეძახიან, რომ მათ არ კვეთს სხვა რომელიმე გზა და მძღოლებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ იმოძრაონ დიდი სიჩქარით. ასეთი ჩქაროსნული მაგისტრალებია მოსკოვის გარშემო, ბალტიისპირეთში და სხვ.

ავტომაგისტრალებზე უფრო ვიწრო გზებს შოსეს, ანუ გზატკეცილს ეძახიან. ისინი ისე ფართო და მოსწორებული არ არის, როგორც ჩქაროსნული გზები, მაგრამ ავტომანქანებს მაინც შეუძლიათ ორ-სამ რიგად იმოძრაონ და გაუსწრონ კიდეც ერთმანეთს, თუ ეს აუცილებელია. გზატკეცილები აკავშირებს ქალაქებსა და სოფლებს, დიდ მშენებლობებს, სადგურებს. თბილისში გვაქვს კახეთის გზატკეცილი, რომელზეც სამ რიგად შეიძლება მოძრაობა ერთი მიმართულებით, რუსთავისა და ავჭალის გზატკეცილები, სადაც ორრიგიანი მოძრაობაა.





სოფლებს შორის ხშირად ვიწრო, საგარეუბნო გზებია გაყვანილი. ასეთი გზების ზოგ მონაკვეთზე ორი ავტომანქანაც კი გაჭირვებით უქცევს ერთმანეთს მხარს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გზების მთავარი ღირსება სიგანე კი არა, საფარია.

ყველაზე ადრინდელია მოტკეპნილი მიწის უბრალო გზა. ასეთი გზები ძველად თავისთავად ჩნდებოდა ხოლმე იმ ადგილებში, სადაც ხშირად დადიოდნენ ადამიანები, მოგვიანებით კი ეტლები და კარეტები. ასეთი გზები წვიმის შემდეგ გაუვალი ხდება. ზოგჯერ სატვირთო ავტომანქანებიც კი ვერ სძლევენ ტალახის წინააღმდეგობას და მხოლოდ მძლავრ ტრაქტორს შეუძლია მათი შველა.

გზის უკეთეს საფარზე ფიქრში გამოიგონა ადამიანმა ქვაფენილი. პირველი ქვაფენილების კეთება რომაელებმა დაიწყეს ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ. გზები იმისთვის იყო საჭირო, რათა ჯარისათვის, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით იპყრობდა ქვეყნებს, დროულად მიეწოდებინათ აღჭურვილობა და სურსათი. ათასობით მონას გაჰყავდა ეს გზები—ჯერ კირის ხსნარით შეერთებულ ქვებს აწყობდნენ, მერე — მუშტისხელა სიპებს, ზემოდან კაკლისხელა კენჭებით აპირკეთებდნენ, ბოლოს კი, წვრილ ღორღს აყრიდნენ. ზოგიერთი ასეთი გზა დღემდე არსებობს.

პირველი ქვაფენილები რუსეთში მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს გაჩნდა. ამ დროს გამოცხადდა მეფის ბრძანება, რომლის მიხედვითაც მოსკოვის ყველა მცხოვრებს გარკვეული რაოდენობით ქვა უნდა მოეზიდა. მათგან ყველაზე მცირე ბატის კვერცხზე პატარა არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ქვები არასკმარისი აღმოჩნდა მოსკოვის მთავარი ქუჩების მოსაკირწყლავადაც კი. მაშინ გამოცხადდა მეფის კიდევ ერთი მკაცრი ბრძანება: არ შეეშვათ დედაქალაქში არც ერთი გამვლელი, რომელიც ქალაქის ალაყაფის დარაჯს სამ ქვას არ ჩააბარებდა. ასე თანდათანობით დაიგო მოსკოვში ქვაფენილი. დაახლოებით ამავე პერიოდში საქართველოს დედაქალაქშიც დაიწყო ქვაფენილების მშენებლობა. ასეთი ქუჩები ახლაცაა შემორჩენილი თბილისის ძველ უბნებში. თუმცა ახლად აშენებული რესპუბლიკის მთავარი მოედანიც ხომ თანაბარი ზომის ქვებითაა დაგებული. როგორც ხედავთ, თანამედროვე ჩქაროსნულ გზებთან ერთად ქვაფენილებიც კეთდება.

ჩქაროსნული მაგისტრალის გაყვანა უბრალო საქმე არ არის.

ჯერ ინჟინრები და გეოდეზისტები აღნიშნავენ რუკაზე, თუ სად უნდა გაიაროს ახალმა გზამ, რათა იგი რაც შეიძლება მოკლე გამოვიდეს, რაც შეიძლება ნაკლები ხიდის აშენება გახდეს საჭირო და სხვ. მერე მიღებული პროექტის მიხედვით მოინიშნება ის ტერიტორია, სადაც გზა უნდა გაიჭრას. ამის შემდეგ კი ათასნაირი საგზაო-სამშენებლო მანქანა იწყებს მუშაობას. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. ექსკავატორები, ბულდოზერები და სატვირთო მანქანები მიწის ან სილის ფართო ნაყარს ამზადებენ, მაპროფილებელი მანქანები ამ ნაყარში ღარს აკეთებენ, მანქანების შემდეგი წყება ღარში სილისა და ბეტონის ნარევს ყრის, შემდეგ კი მომავალი გზის ეს ბეტონის საფუძველი მძიმე მტკეპნავი მოწყობილობების საშუალებით სწორდება. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება თვითონ გზის კეთება. ბეტონზე წვრილი ღორღი იყრება და იტკეპნება. ზედ სპეციალური ფისიბიტუმი ესხმება, სულ ზემოთ კი ასფალტი ეგება.

ასეთი გზის თითოეული კილომეტრი მილიონ მანეთამდე ჯდება. ერთი კილომეტრი! ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი კილომეტრია თუნდაც თბილისიდან მოსკოვამდე!

თითქმის ასევე გაჰყავთ გზები ქალაქებში, ოღონდ მათ ქუჩებს ეძახიან. ქუჩებს ორივე მხარეს მიუყვება ტროტუარები, რომლებიც ქვეითად მოსიარულეებისათვის არის განკუთვნილი, მათთვისვე ეწყობა მიწისქვეშა გადასასვლელები და სპეციალური შუქნიშნები, რომლებიც ქუჩის მეორე მხარეს გადასვლაში ეხმარებიან მათ (შუქნიშნებზე შემდეგ წერილებში გვექნება საუბარი). ქალაქის ქუჩებს, ტროტუარებთან სპეციალურ ღარებს — კიუვეტებს უკეთებენ, ასეთი ღარები ავტოტრასებზეც ხშირად გვხვდება.

უთუოდ დაგაინტერესა ამ უცხო სიტყვის მნიშვნელობამ. ახლავე აგიხსნი.

ძველად, როდესაც მტრისაგან თავის დასაცავად ციხესიმაგრეებს აგებდნენ, ხშირად



მას გარშემო წყლით სავსე განიერ არხს აყოლებდნენ, რომელსაც კიუვეტი ეწოდებოდა. მტრის შემოსევისას მოსახლეობა სპეციალური ხიდებით ციხესიმაგრეებში იხიზნებოდა, ხიდებს იღებდნენ და მომხვდურს უჭირდა ციხის ტერიტორიაზე შეღწევა.

თანდათანობით შემოვიდა ახალი სახის იარაღი, შეიცვალა ბრძოლის ხასიათი და ციხესიმაგრეების აშენებაც შეწყდა. კიუვეტმაც თავისთავად დაკარგა მნიშვნელობა. თანამედროვე ტანკს ხომ არანაირი თხრილის გავლა არ გაუჭირდება. არც სჭირდება! მას შორიდან შეუძლია დაანგრიოს ნე-





ბისმიერი ნაგებობა. სიტყვა „კიუვეტი" კი დარჩა და დროთა განმავლობაში სხვა მნიშვნელობა მიიღო. ასე ეწოდება ქუჩებისა და ავტომაგისტრალების ორივე მხარეს დატანებულ ღარებს — წყალსაწრეტებს, რომლებიც იმისათვისაა საჭირო, რომ ძლიერი წვიმის შემდეგ წყალი შიგ ჩაიწუროს და ავტომანქანების სავალი ნაწილი ჩქარა გაშრეს. სწორედ ამისათვის გზებსა და ქუჩებს ისე აშენებენ, რომ ორივე მხარეს მცირე დაქანება ჰქონდეს და წყალი ჩქარა ჩაიწუროს კიუვეტებში. ასეთივე დახრა აქვს ტროტუარებსაც.

სველი გზა კი საშიშია, ასფალტი ამ დროს სრიალაა და საკმარისია ავტომანქანამ ეეცრად დაამუხრუჭოს, რომ მოცურდება და შეიძლება შემოტრიალდეს კიდეც, გარშემო კი სხვა მანქანები მოძრაობს. ამიტომ გამოცდილი მძღოლებიც კი ნაწვიმარ გზაზე განსაკუთრებული სიფრთხილით დადიან.

დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გზებსა და ქუჩებს ლაპარაკი შეუძლიათ, რომ მათ თავიანთი „ანბანი" აქვთ. საგზაო ანბანი საკმაოდ რთულია და შედგება იმ სიგნალებისა და ნიშნებისაგან, რომლებსაც გზებზე მოძრაობის რეგულირება ავალიათ. ეს ნიშნები, სხვადასხვა ხაზები და სიგნალები იმდენად ბევრია, რომ ყველას უცბად ვერც დაიმახსოვრებ. ისინი თავიანთ, ყველა მძღოლისათვის გასაგებ ენაზე „ლაპარაკობენ", აფრთხილებენ, უკრძალავენ, რჩევას აძლევენ ან რაიმეს ატყობინებენ მათ.



# დიდი ქვეყნის გამოძახილი

მინდა გაგაცნოთ „კოცონის" სახელზე მიღებული ორი ბარათი.

## პრობლემები, რომლებიც გვაღელვებს

ორი წელიწადია, რაც რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ვასრულებ. ამ ხნის განმავლობაში მე უფრო ღრმად ჩავწვდი სიძნელეებს, რომლებიც ყოველდღე გვხვდება.

ისევე, როგორც სხვა სკოლების რაზმეულებში, ჩვენთანაც კეთდება კეთილი საქმეები საკავშირო მარშის მარშრუტების მიხედვით; ჩემი რაზმეულის პიონერებიც გატაცებული არიან ლიტერატურით, ხელოვნებით, სპორტით; მეგობრობენ ოქტომბრელებთან; მუშაობს ინტერკლუბი; თითქოს ყველა თავის საინტერესო საქმეს აკეთებს, მაგრამ რაზმეულში პიონერული მუშაობა მაინც მოიკოჭლებს. ამას ჩვენთან ერთად ჩემი რაზმეულის პიონერებიც გრძნობენ. სკოლაში პიონერული მუშაობისთვის ცოტა დრო გვაქვს, გასაკეთებელი კი ძალზე ბევრია. იქ, სადაც ორცვლიანი მეცადინეობაა, მხრებს ვერ შლის რგოლი და რაზმი. აქედან გამომდინარე პრობლემები, ვფიქრობ, მარტო ჩვენი რაზმეულისა და მისი საბჭოს სატკივარი როდია, ამ საკითხებზე ჩვენ არაერთხელ გვიკამათია, გვიმსჯელია პიონერთა საქალაქო შტაბის შეკრებებზე.

პირველი, რასაც მტკივნეულად ვგრძნობთ, დროის ნაკლებობაა — პიონერული მუშაობისათვის აშკარად მეტი დრო გვჭირდება.

მეორე. სწავლაში თითქმის ყველას მაღალი ნიშანი აინტერესებს, რგოლისა და რაზმის მუშაობაში მონაწილეობას კი ყველა როდი ეკიდება ხალისით. პიონერული შეკრებებიც ბევრჯერ თითქმის ფორმალურად, რაღაც მოვალეობის მოხდის მიზნით ტარდება.

აუცილებლად მიმაჩნია პიონერული კედლის გაზეთების როლის ამაღლება. პირველი და მეორე სიმაღლის პიონერები უფრო სისტემატურად უშვებენ კედლის გაზეთებს, ვიდრე მესამე სიმაღლის პიონერები; პირიქით კი უნდა იყოს — უფროსი პიონერები უმცროსებისათვის მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ.

სუსტად ან სულ არ მუშაობს პიონერუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აქტივის სწავლების სკოლა. არადა, თუ გვინდა მუშაობა გამოცოცხლდეს, პირველ რიგში ეს საკითხი უნდა მოგვარდეს

არის რაზმეულის მუშაობის ხელისშემშლელი კიდევ ერთი ძალზე სერიოზული მიზეზი. ზოგიერთ პიონერს სურს აქტიურად მონაწილეობდეს თავისი რგოლის, რაზმის თუ რაზმეულის მუშაობაში, მაგრამ წინააღმდეგობას აწყდება მშობლების მხრიდან— დროს უქმად ნუ კარგავო. ამაში აქტივისტებს ვადანაშაულებ, ალბათ ჩვენ თვითონ ვერ ავამაღლეთ მათ თვალში ჩვენი, როგორც პიონერული აქტივისტების, როლი.

სულ მალე რაზმეულებში ანგარიშგება-არჩევნები გაიმართება. ყველა საკითხი, რომლებიც ჩვენ გვაღელვებს, ამ შეკრებებზე გაანალიზდება: გადაწყვეტილებებს,



მერაბ დეკანოსიძე

ცხადია, საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დადგენილებებიდან გამომდინარეს მივიღებთ. პიონერების გააქტიურების ერთ-ერთ გზად პიონერული შეკრებების მომზადება-ჩატარებაში მათი აქტიური ჩაბმა მიმაჩნია.

პიონერთა ორგანიზაციაში თუ რამ ნაკლია, მისი გამოსწორება ჩვენზე, სკოლის კომკავშირელებზეა დამოკიდებული. კომკავშირმა გამოგვაგზავნა, მისი დავალებით ვმუშაობთ პიონერებთან, მათ დღეს ჩვენი დიდი ყურადღება სჭირდებათ.

ყოველდღიური კომკავშირული მზრუნველობის გარეშე მათ მუშაობა გაუჭირდებათ.

მერაბ დეკანოსიძე,

თბილისი, 57-ე საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის პიონერთა საქალაქო შტაბის — „კოცონის“ წევრი.

ჩვენს რაზმში დიდი მღელვარებაა — საბჭოთა კავშირის გმირის, შოთა გამცემლიძის

# შეკრება მუშაობაში გვეხმარება

სახელის მინიჭების უფლების მოსაპოვებლად ვიბრძვით, სახელის მინიჭება პიონერულ შეკრებაზე მოხდება. ჩვენ, საერთოდ, გვიყვარს შეკრებებზე მოსვლა, ალბათ იმიტომ, რომ რგოლისა და რაზმის შეკრებები ჩვენთან ყოველთვის საინტერესოდ ტარდება.

სისტემატურად ვკითხულობთ ჟურნალ „პიონერის“ ფურცლებზე კლუბ „კოცონში“ დაბეჭდილ მასალებს. გვინდა ხშირად დაბეჭდოთ წერილები პიონერული შეკრებების ჩატარების წესებზე, გაგვიზიაროთ სხვისი გამოცდილება. ეს პიონერული მუშაობის გამოცოცხლებაში მოგვეხმარება. ჩვენს შეკრებებზე ყოველთვის ისეთ საკითხებს ვიხილავთ, ჩვენი რაზმის ცხოვრებას რომ ეხება. შეკრებას ყოველთვის ხაზით ვიწყებთ, შემდეგ ცხადდება დღის წესრიგი. გაკრული გვაქვს შეკრებისადმი მიძღვნილი სპეციალური კედლის გაზეთი და რაზმის გეგმაც, რათა პიონერებს ერთხელ კიდევ შევახსენოთ აღებული სიტყვა, სიტყვისა და საქმის ერთიანობის აუცილებლობა.

შეკრებაზე ყოველთვის ვიხსენებთ ჩვენს გასაკეთებელ საქმეებს; ვარჩევთ, თუ როგორ კეთდება ეს საქმეები და როგორია პიონერული დავალებისადმი თითოეული პიონერის დამოკიდებულება, მათი პასუხისმგებლობა; როგორ ეხმარება რაზმის საბჭო პიონერებს. შეკრებაზე რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობასაც ვარჩევთ, კედლის გაზეთების ხარისხზეც ვკამათობთ; ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა კეთდება ოქტომბრელებისათვის; რამ შეგვიშალა ხელი პიონერული სიტყვის შესრულებაში, გზადაგზა ვაანალიზებთ რაზმის საბჭოს მუშაობას, მის დახმარებას რგოლებისადმი. ამის შემდეგ ვიღებთ გადაწყვეტილებას. რაზმის შეკრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე თითოეული პიონერი ფიქრობს.

პატივცემულო რედაქციავ, რაზმში პიონერული მუშაობის გამოცოცხლებაში შეკრება მიგვეხმარა. ის მიგვაჩნია ერთ-ერთ საშუალებად პიონერულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. გთხოვთ გვიპასუხოთ, ხომ არ ვცდებით?

ლალი მაღრაძე,

მე-7 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე,

ლელა არაგული,

რგოლის ხელმძღვანელი,

პიონერები: ვასიკო რუბაშვილი, ბექარ ჯუმუტია, დათო ჭიჭინაძე,

თბილისი, 67-ე საშუალო სკოლა.

„კოცონის“ სახელზე გამოგზავნილ წერილებში ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე იმ




დიდი ძვრების გამოძახილი იგრძნობა, რომლებიც პიონერების ირგვლივ ხდება; ამიტომ აღელვებთ მათ პიონერულ ორგანიზაციაში არსებული პრობლემები, გრძნობენ მათი რგოლის, რაზმისა და რაზმეულის მუშაობის ახლებურად გარდაქმნის აუცილებლობას. სამწუხაროდ, ბევრ რაზმეულში პიონერული შეკრება ან სულ არ ტარდება, ან ფორმალურად ტარდება, ან კიდევ ყოველ ზეიმს, დილას, საუბარს, შეკრებას არქმევენ. ამიტომ პიონერები შეკრების სწორად მომზადება-ჩატარებაში ხედავენ გამოსავალს. პიონერული შეკრება პიონერთა თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა, რომელიც ბავშვთა კოლექტივის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს; შეკრებაზე გამოტანილი საკითხის განხილვაში ყველა პიონერი მონაწილეობს და კონკრეტული დავალებაც ყველას დასტურით უნდა იქნეს მიღებული.

რაზმი ვალდებულია, აუცილებლად შეასრულოს შეკრების გადაწყვეტილება.

რაზმის საბჭოს კონტროლით, თითოეული რგოლისა თუ რიგითი პიონერისადმი მისი დახმარებით ასეთი შეკრებების მომზადება-ჩატარებას თუ სისტემატური ხასიათი ექნება, მაშინ პრობლემებიც ნაკლები გაჩნდება. აუცილებელი არ არის, ასეთი შეკრებები მაინცდამაინც საკლასო ოთახში მოეწყოს, შეიძლება შეკრების გამართვა მუზეუმში, პარკში, შეფებთან და ასე შემდეგ; ასე რომ, თბილისის 57-ე და 67-ე საშუალო სკოლების პიონერულ აქტივისტთა გულისტკივილი ბუნებრივია. მათ ბარათებში აღნიშნული პრობლემები სხვა რაზმელებსაც აწუხებს, ვინც თავის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ხედავს, მათ გამომწვევ მიზეზებსაც სწორად განსჯის და, ვფიქრობთ, არც მათი გამოსწორება გაუჭირდება, ამაში მათ რგოლის, რაზმის, რაზმეულის შეკრებების სწორად მომზადება-ჩატარებაც დაეხმარება.

ნათელა ფაილოძე

# მოდელირების მოყვარულთათვის

## ფინიკიური ხომალდი

ძველი მსოფლიოს ყველაზე გაწაფულ ზღვაოსნებად ფინიკიელები ითვლებოდნენ, ხალხი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ლიბანის მთების ძირში ცხოვრობდა. სწორედ ისინი გახდნენ ზღვების ბატონ-პატრონები, მას შემდეგ, რაც ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნეში ეგვიპტელებმა დათმეს თავიანთი პოზიციები ზღვაზე. ფინიკიელები დაცურავდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, წითელ ზღვაზე, სპარსეთის ყურეში, ნილოსზე, ტიგროსსა და ევფრატზე, ამასთან ყველგან კოლონიებსა და დასახლებებს აარსებდნენ, რომელთაგან უმაღლეს დიდებას კართაგენმა მიაღწია. ფინიკიელები დღეც დაცურავდნენ და ღამეც. ორიენტირებად კი მზეს, ვარსკვლავებს, წყლის ფერს, ნაპირის ფორმასა და ხასიათს იშველიებდნენ.

ფინიკიელთა ხომალდები აღჭურვილი იყო ნიჩბებით, ჰორიზონტალურ ქანდარაზე (რეაზე) გაჭიმული იალქნით და საჭის ნიჩბით. ანძაზე მაგრდებოდა კალათის მსგავსი ბაქანი — „ყვავის ბუდე", რომელიც მეთვალყურის პოსტის მოვალეობას ასრულებდა. ხომალდის ფორშტევენს მოჩუქურთმებული ცხენისა ან ვირის თავი ამშვენებდა. თქვენთვის შემოთავაზებული მოდელი დამზადებულია ბარელიეფზე ამოკვეთილი ხომალდის გამოსახულების მიხედვით, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვის 720 წ. მიაკუთვნებენ.

ძირითადი მონაცემები: სიგრძე — 33 მ, სიგანე — 10 მ. (არ დაივიწყოთ მასშტაბი 1:500).

შეფერილობა: კორპუსი — მუქი ყავისფერი, გემბანი — ბაცი ყავისფერი, ფორშტევენი, ახტერშტევენი, იალქანი და „ყვავის ბუდე" — წითელი. ფორშტევენის დასამზადებლად გირჩევთ 1 მმ სისქის ფირფიცარი გამოიყენოთ; ანძისა და რეისთვის კი — ბამბუკი; იალქნისთვის შეგიძლიათ თეთრი სახატავი, ან ბაცი ყავისფერი შესაფუთი ქაღალდი იხმაროთ.




## აისბერგი

ნამდვილ აისბერგებს, აი, იმათ, პოლარულ ზღვებში რომ დაცურავენ, თქვენ, ალბათ, არ შეხვედრიხართ, მაგრამ კინოფილმში ან ტელევიზორში უთუოდ გექნებათ ნანახი. რა თქმა უნდა, მაცივრიდან გამოღებული და წყლით სავსე აბაზანაში მოტივტივე ყინულის ნატეხი ვერ შეცვლის იმ შთაბეჭდილებას, რასაც ოკეანეში დინჯად მოცურავე



აისბერგი ახდენს, მაგრამ, სამაგიეროდ, ცდა შეგიძლიათ სახლში ჩაატაროთ. და თქვენ თვალნათლივ დარწმუნდებით, რომ ყინული წყალზე მსუბუქია და საცობივით ტივტივებს მის ზედაპირზე.

მაგრამ რატომ ხდება ეს?



## კენგურუს საფრთხე დაემუქრა

ავსტრალიის კონტინენტზე და ახლომდებარე კუნძულებზე კენგურუს 40-მდე სახეობა ცხოვრობს, მათ შორის — შედარებით მომცროებიც და უზარმაზარებიც. ამ უკანასკნელებს მიეკუთვნებიან დიდი ნაცრისფერი და წითური, აგრეთვე ვალარუ.

მას შემდეგ, რაც ავსტრალიაში ცხვარი ინტენსიურად გამრავლდა, კენგურუ აქაური ფერმერების დაუძინებელ მტრად იქცა. საქმე იმაშია, რომ კენგურუც ბალახით იკვებება და ე. ი. ცხვრის კონკურენტია. გარდა ამისა, კენგურუს ზოგიერთ სახეობას გემრიელი ხორცი და არც თუ უხეირო ბეწვი აღმოაჩნდა და... დაიწყო კენგურუების გაძლიერებული დევნა-მოსპობა. მიუხედავად ამისა, 1981 წლამდე ავსტრალიაში 30 მილიონამდე ეს ჩანთოსანი ცხოველი ითვლებოდა. ბოლო სამი წლის ძლიერმა გვალვებმა თითქმის გაანახევრა მათი რაოდენობა. ზოგიერთ სახეობას კი სრული ამოწყვეტა დაე-

## ფიზიკა

დღეს ჩვენ ორ ფიზიკურ მოვლენაზე გესაუბრებით. საინტერესოა, რამდენად ღრმად გესმით მათი არსი. შეეცადეთ, დასმულ კითხვებს დამოუკიდებლად უპასუხოთ. გირჩევთ, პასუხები მხოლოდ ამის შემდეგ წაიკითხოთ და შეამოწმოთ, რამდენად სწორია თქვენი მოსაზრება.

### რეზინის სიმი

ალბათ იცით, რომ სიმის მომართვა მისი დაჭიმულობის რეგულირებას ნიშნავს. რაც უფრო მეტადაა დაჭიმული სიმი, მით უფრო მაღალია ტონი, რომელსაც იგი ჩამაგრების წერტილებს შორის გამოსცემს. გარდა ამისა, ტონის სიმაღლე სიმის სიგრძეზეც არის დამოკიდებული. რაც უფრო მოკლეა სიმი, მით უფრო მაღალია ტონი. ამ შემთხვევაში მასალას მნიშვნელობა არა აქვს — სულერთია, სიმი ლითონისაა, პლასტმასისა თუ...რეზინისა.

საინტერესოა, რა მოხდება, თუ რეზინის სიმის ერთ ბოლოს ხისტად დავამაგრებთ, მეორეს კი ხელით გავჭიმავთ და, ამავე



დროს, „დავუკრავთ?“ როგორი იქნება სიმის მიერ გამოცემული ბგერა, მაღალი თუ დაბალი?

მუქრა, მათ შორის — დიდ ნაცრისფერსა და წითურს.

### გიგანტური კიბორჩხალა

ეს კიბორჩხალა წყნარ ოკეანეში, იაპონიის ქალაქ ტანაბეს სიახლოვეს მოთევზავე მებადურების ბადეს ამოჰყვა. ზღვებში მობი-



ნადრე კიბოსებური ათფეხები კარგა მოზრდილები არიან, მაგრამ მოცემული ეგზემპლარი თავისი ზომებით უიშვიათესია. მისი გაშლილი ფეხების სიგრძე სამი მეტრია, წონა—15 კილოგრამი. ეს კიბორჩხალა ყველაზე დიდია იაპონელ მეთევზეთა მიერ უკანასკნელ 30 წელიწადში დაჭერილებს შორის.

### გონიერია თუ არა ცხვარი?

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ცხვარი უგნური და მოუსაზრებელი ცხოველია და ამიტომ მისი წარმოდგენა მწყემსის გარეშე შეუძლებელია. ბულგარეთის ქალაქ ტროიანის სამთო მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ინსტიტუტში დამთავრდა ასი ცხვრისთვის განკუთვნილი საცდელი საძოვრების კომპლექსის შექმნა. საძოვრებზე ერთადერთი ზოოტექნიკოსია და ისიც იმისთვის, რომ ექსპერიმენტის შედეგებს ადევნოს თვალი. გამოირკვა, რომ სულ რაღაც სამ დღეში ცხვრებმა ისწავლეს თავის მოვლა, ამასთანავე, სრული თავისუფლების პირობებში ისინი მეტ მატყლსა და ნამატს იძლევიან. არ დადასტურდა არც ის, რომ თითქოს ცხვარს არ შეეძლოს ზაფხულის სიცხეში ჩრდილის დამოუკიდებლად მოძებნა.

### ზოოპარკში დაიბადა... მორიელი

სტოკჰოლმის ზოოპარკ „სკანსენში“ მორიგი ახალშობილების გაჩენას დღესასწაულობდნენ. ახალშობილები მორიელები იყვნენ, დღესასწაულით კი მათი გაჩენა იმიტომ აღინიშნა, რომ ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიოს ზოოპარკების პრაქტიკაში, როცა მორიელები ტყვეობაში გამრავლდნენ.

## ახალი წიგნები

იური იაკოვლევი

### „ყველაზე მაღალი კიბე“

ნაცნობი მწერლის ნაწარმოებთან შეხვედრა რაღაცით ჰგავს ახლობელთან შეხვედრას. ამ ახალი წიგნის ხილვისას ეს გრძნობა უთუოდ გაუჩნდება ყველას, ვისაც ცნობილი რუსი მწერლის იური იაკოვლევის თუნდაც ერთი მოთხრობა წაუკითხავს. ეს მწერალი გხიბლავს ბავშვის შინაგანი სამყაროს, მისი ბუნებისა და მგრძნობიარე ფსიქიკის ღრმა ცოდნით. იური იაკოვლევის მოთხრობათა გმირები პატარა ხალისიანი ადამიანები არიან, ბავშვები, რომლებიც თავადვე ებმებიან ბრძოლაში საკუთარი რწმენის გადასარჩენად და უფროსებსაც არ აძლევენ სხვაგვარად მოქცევის უფლებას. ასეთია მისი ინგა მოთხრობიდან „ყველაზე ძნელი როლი“, კიკინებიანი გოგონა — „კაპიტანი ჯეკი“ ამავე სახელწოდების მოთხრობიდან, მამაცი მეკარე („მეკარე“), ალისა („თეატრის ეზო“), ასეთია პატარა გოგონა მოთხრობიდან „ხეებზე ფოთლები ამოდიან“, რომელსაც სწამს, რომ ისევე, როგორც ხეები გაზაფხულზე ფოთლებს, ადამიანებიც უნდა იცვლიდნენ თმებს.

იური იაკოვლევის მოთხრობების ეს კრებული თარგმნა მარინე სოხაძემ




ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო სიახლენი

## ბეჭდავს და ხაზავს კიდეც

გამოცდილ მბეჭდავ-მემანქანესაც კი უძნელდება ტაბულებისა და განრიგების ბეჭდვა. კარეტა წამდაუწუმ აქეთ-იქით უნდა ასრიალო, როგორმე შვეულ და თარაზულ სვეტებში უნდა „ჩაეტიო“ და ა. შ. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, როცა ხელნაწერს სქემები, გრაფიკები, ნახაზები ახლავს თან — ისინი ხელით სრულდება და მერე აკრავენ გადაბეჭდილ მასალაში. ახალი მანქანა, რომელიც იაპონიაში გამოიგონეს, ადვილად აგვარებს ამ სიძნელეებს, მისი კომპიუტერი „იმახსოვ-



რებს“ 2000-ზე მეტ პირობით ნიშანს, რთულ რკალებს, წრეხაზებს, ტაბულებსა და გრაფიკებს. ბეჭდვისას შეიძლება მივიღოთ მასალის ფერადი გამოსახულება. მანქანის წონა სულ რაღაც 2,6 კილოგრამია, იგი ბატარეებით ან ელექტროდენით იკვებება.

## უცნაური, მაგრამ სასარგებლო

პარიზელმა მემოდელემ პიერ კარდენმა ქალებისთვის ფეხსაცმლის ახალი მოდელი შეიმუშავა. ეს ფეხსაცმელი მზადდება მზემოკიდებული კანისფერი ტყავისაგან, „ფრჩხილები“ გულმოდგინედ დამუშავებული და გალაქულია. მემოდელეს ეგონა, მისი სიახლით მარტო მოდის მიმდევარნი დაინტერესდებოდნენ. წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა შეიტყო, რომ ახალი მოდელი ძალზე მოეწონათ ექიმ-ორთოპედებს. მათი აზრით, ფეხსაცმელი ფრიად მოხერხებულია, შეიძლება მთელი დღე გეცვას და არ დაიღალო. ექიმებმა ამ სიახლის გამოყენება ურჩიეს იმ ქალებს, რომელთაც სამსახურის ხასიათის გამო დიდხანს უხდებათ ფეხზე დგომა — ფოსტალიონებს, შიკრიკებს, საფეიქრო ფაბრიკების მუშებს და ა. შ.



## ხელსაწყო გიგანტი

დრეზდენელმა (გდრ) სპეციალისტებმა შექმნეს რვასართულიანი სახლის სიმაღლის ენერგეტიკული საკვლევი სტენდი. მისი მოვალეობაა, საიმედოობაზე გამოსცადოს ახალი ტიპის ტრანსფორმატორები, იზოლატორები, კაბელები, მუდმივი დენის (2 მლნ ვოლტამდე) გადამრთველები და ა. შ. პირველი ასეთი სტენდი, რომლის საიმედოობაც გარანტირებულია, იაპონიაში დამონტაჟდება.





# საძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა


მ. გელაშვილი — გარჯით მოპოვებული ნდობა (წერილი) . 3
მეგობრობით ვართ ძლიერნი (ფოტორეპორტაჟი) . . 4
ა. ლორია — ეს დაუდეგარი არდადეგები (მოთხრობა) . 6
ნ. ფავლენიშვილი — ძმას ძმისა ეიმედება (ნარკვევი) . 12
ლ. ერაძე — ლექსები . . . . . . . 15
ო. გველესიანი — დედის წერილი (ლექსი) . . . 15
ა. ბეთანელი — შედგება თუ არა შეხვედრა? (წერილი) . 16
ქ. კობერიძე — ინსტინქტი თუ აზროვნება? (წერილი) . . 18
ჰ. ტალკე — მამაცი ბრიყვი (მოთხრობა) . . . . 21
აისი . . . . . . 24
უცხოური იუმორი . . . . . . 25
თ. ინასარიძე — შევისწავლოთ საგზაო ანბანი (წერილი). . 26
კოცონი . . . . . . 28
მოდელირების მოყვარულთათვის (წერილი) . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . 30
სახალისო ფიზიკა . . . . . 31
ახალი წიგნები . . . . . . 31
საინტერესო სიახლენი . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. . . 3
მხატვრის ღიმილი . . . . გარეკ. . 4


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა — იოსებ სამსონაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, ბაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 23.1.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.03.87 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 236. ტირაჟი 160000 ეგზ., უე 04373.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 160.000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1987 წ.



## კროსვორდი

შვეულად: 1. უძრავი, ცალკე მდგომი საგანი, რომელიც კარგად ჩანს და გამოდგება ადგილმდებარეობაში გასარკვევად; 2. სიტყვების გამოცნობაზე აგებული გასართობი ამოცანა; 3. ერთი ეროვნების ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთად ცხოვრობს უცხო ქვეყანაში; 4. აფრიკის სახელმწიფო; 5. სოფელი ამბროლაურის რაიონში; 6. პატარა, ჩაღრმავებული ადგილი; 7. მოკლე დისტანციაზე სირბილი; 8. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფულის ერთეული; 9. სამშობლოს სიყვარული; 11. საგაზაფხულო თესლის სპეციალური დამუშავება; 14. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო; 15. სერვანტესის რომანი; 16. ფეხბურთში ცენტრალური მცველი; 17. საუბარი ორ პირს შორის; 18. ზღუდე, დაბრკოლება, რომელიც უნდა გადაილახოს; 19. გამოჩენილი ინგლისელი ბუნებისმეტყველი; 21. ფრინველი; 22. მოსწავლის ცოდნისა და ყოფაქცევის ციფრობრივი გამოსახულება, ნიშანი.



თარაზულად: 5. გარეული ფრინველი; 9. ქართული ჟურნალი; 10. მოყვითალო-მომწვანო მინერალი, რომელიც შედის ვულკანური ქანების შემადგენლობაში; 12. საქართველოს კურორტი; 13. მცენარე; 20. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 22. სამხრეთ ამერიკის ქვეყანა; 23. ქიმიური ელემენტი, რომელსაც უმთავრესად იღებენ წყალმცენარეებისაგან და მედიცინაში იხმარება.

შეადგინა ალ. გორგიშვილმა.

## გამოცანები

● ჯერ ყელზე თოკი მიაბეს, მერე კი ხეზე დაჰკიდეს, ცალფეხასა და უხელოს ყურძენი ტვირთად აჰკიდეს.

ნ. გვარიშვილი

● ტკბილია,
მაგრამ არ არის თაფლი,
კუდი აქვს,
მაგრამ არ არის თაგვი,
და არც ბურთია,
თუმცა მრგვალია...
მიწის შვილი და
ბინადარია.

● მიწის პირზე განაბული,
საფრთხეს ელის წარამარა,
ხან ზედ ცხვირწინ
ამიფრინდა,
ხან ბალახში გამეპარა,
უცნაური ფრინველია —
ხეზე არასოდეს მჯდარა.

● გამჭვირვალე მინის
სახლი
შინ მაქვს არაერთი ცალი
და ყველაში ცხოვრობს
თითო
მზისფერთვალა დედოფალი.

● როცა ვდგავარ, იგი
არ ჩანს,
მე წავედი, ის კი დარჩა.

ნ. მარიხია

● ყურები და კბილებია
მისი ავლადიდება,
მესაჭედ და მომსახურედ
ორი კაცი სჭირდება.
თუმც მუნჯია დაბადებით,
არც ენა, არც ყელი აქვს,
წინ და უკან დასეირნობს
მღერის „აბა დელია“-ს

ი. ყალიჩავა

## მეტაგრამები

პაწაწინა დათვის
სახელს თუკი იტყვი,
შეიცვლება მარტო
შუა ბგერა სიტყვის
და ბოლქვებად მყისვე
აიჭრება მაღლა.
მეტაგრამას მოვრჩი,
პასუხს ველი ახლა.

თუმცა უდაბნოს ველებზე
მიემართება ზანტად,
მაგრამ იმისი სახელი
უნდა გაუწყო სხარტად,
მერე კი სიტყვის პირველი
ბგერა შეცვალე თანაც;
რომელი ტბა დაგუბდება,
ვერ მიპასუხებ, განა?!

მინდორია იგივე,
რომელია, მითხარ?
წყვილ მარცვალში ეტევა,
არ დაფიქრდე დიდხანს,
მისი მარტო შუალა
ხმოვნის შეცვლა გვინდა, —
შენი ქვეყნის წინაშე
მოიხადე წმინდად!

## შარადები

უსიერი ტყიდან
დიდ დარბაზში მოხვდა
და ზურმუხტის მხრები
მოიკაზმა კოხტად. —
მერე თუკი სიტყვის
შუა ბგერას წაშლი,
წყალში საცურაოდ
გამოდგება მაშინ.

●

მუსიკალური ბგერები
ერთი მეორეს ერთვის:
მეორეა და მესამე
კარგად ცნობილი შენთვის,
შეცვალე ბოლო ხმოვანი
ანბანის წინა ბგერით. —
ვინ გამოიცნობს პირველი?
პასუხს სასწრაფოდ ველი.

შ. ამირანაშვილი

### პასუხი № 2-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

**კროსვორდი**

თარაზულად: 6. კოკორი; 7. ანკერი; 8. ფორინტი; 9. იმპულსი; 10. ნიხრი; 13. კანოე; 15. ტაიჭი; 17. გლისერი; 18. რუსლანი; 19. ილეთი; 21. დაირა; 23. აფიშა; 25. მუსკატი; 27. ტუგრიკი; 28. კვირტი; 29. სევანი.

შვეულად: 1. სოფელი; 2. ლიფტი; 3. ფაიფური; 4. შაირი; 5. ტრიუმო; 11. ხიმინჯი; 12. იმპერია; 13. კაფსულა; 14. ნარანდი; 15. ტაიმი; 16. იარდი; 20. ესკორტი; 22. არაგვი; 24. შიფონი; 25. მატიე; 26. ირისი.

**გამოცანები**

ეკვატორი, თრთვილი, ხელეჩო, დედამიწა, წისქვილი.

**მეტაგრამა**

ბუმბული-ბულბული

**შარადა**

ზღვარი-ზვარი.

6205/67



# მსოფლიო ღიმილი

მხატვარი



გივი პატრიაშვილი





ახლა სადღა დამალავთ შპარგალკას?!





ოროსანის ლაბირინტი



ინდექსი 76157

ფასი 20 კაპ.